სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ში განხორციელებული მონიტორინგის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ზაირა ბერიძე
წევრები:
ქეთევან ჯანელიძე
ტიტე ბოლქვაძე
თათია გივიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

■ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო განათლება (ახალციხე)	28	14	0
ზუღალტრული აღრიცხვა (ახალციხე)	40	14	0
კომპიუტრული ქსელი და სისტემები (ახალციხე)	28	13	0
კომპიუტრული ქსელი და სისტემები -ინტეგრირებული (ახალციხე)	14	9	0
საბაჟო საქმე (ახალქალაქი)	14	14	0
ბუღალტრული აღრიცხვა (ახალქალაქი)	40	8	0
კომპიუტრული ქსელი და სისტემები (ახალქალაქი)	40	32	0
კომპიუტრული ქსელი და სისტემები ინტეგრირებული (ახალქალაქი)	20	0	0
ელექტროობა (ახალქალაქი)	30	9	0
ელექტროობა-ინტეგრირებული (ახალქალაქი)	15	0	0
სატყეო საქმე (ახალქალაქი)	40	7	0
სატყეო საქმე -ინტეგრირებული (ახალქალაქი)	20	0	0
მებოსტნე (ახალქალაქი)	40	0	0
ბუღალტრული აღრიცხვა	20	0	14
ვებ-ინტერფეისის დიზაინერი	14	0	12
მასაჟისტ-რეაბილიტატორი	14	0	10
პრაქტიკოსი ექთანი	28	0	12
ბაგა-ბაღის აღმზ.პედაგ.	20	0	6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

ცენტრის დირექტორის 2021 წლის 8 დეკემბრის N 1331575 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ა“,“გ“,“დ“,”ე“ ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "საბაჟო საქმე” და “საექთნო საქმის” ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისობის შეფასებით. (გეგმიური მონიტორინგი).

დაწესებულებას აქვს სამი კორპუსი (ერთი ქ. ახალქალაქში და ორი ქ. ახალციხეში) აღსანიშნავია, რომ გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისი სტანდარტების შეფასება განახორციელა ქ. ახლაქალაქისა და ქ. ახალციხის მისამართებზე არსებულ კორპუსებზე. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ ინსტიტუციური სტანდარტების შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 22 და 23 დეკემბერს, ხოლო პროგრამული სტანდარტის შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და დარგის ექსპერტების მიერ განხორციელდა 2021 წლის 24 დეკემბერს. დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა მიერ, ასევე დარგის ექსპერტების მიერ.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (ZOOM) გამოყენებით, სადაც განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები და შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე, შესყიდვებზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, IT სპეციალისტებს, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელებს *(საექთნო განათლება; საბაჟო საქმე)* და სხვას. ექსპერტების მიერ განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში დოკუმენტაციის შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა. პანდემიიდან გამოწვეული ვითარების გათვალისწინებით გასაუბრებები საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან (საექთნო განათლება; საბაჟო საქმე), პროფესიულ სტუდენტებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან განხორციელდა როგორც დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ასევე პირისპირი შეხვედრის ფორმატითაც.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია		სრულ შესაბამისობაშია
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება		სრულ შესაბამისობაშია
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა		სრულ შესაბამისობაშია
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები		სრულ შესაბამისობაშია
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		სრულ შესაბამისობაშია
4.2) პერსონალის განვითარება		სრულ შესაბამისობაშია
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		მეტწილ შესაბამისობაშია
5.2) საინფორმაციო რესურსები		სრულ შესაბამისობაშია
5.3) ფინანსური რესურსები		სრულ შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა ***<u>(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)</u>***

დაწესებულებაში, ახალი სტანდარტების შესაბამისად ავტორიზაცია არ განხორციელებულა, შესაბამისად ინსტიტუციური წარმოების დროს წინა რეკომენდაციების შესწავლა ამ მხრივ არ მომხდარა, ხოლო პროგრამულ ნაწილში, მიმდინარე წარმოების დროს, გავეცანით გაცემულ რეკომენდაციებს და მათ შესაბამისობას სტანდარტებთან.

<u>**წინა რეკომენდაციები:**</u>

პროგრამა საექთნო განათლება

ა) ***<u>განმავითარებელი რეკომენდაცია 2.2.3.</u>*** *პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - <u>ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლების შემდგომ გადამზადებასთან დაკავშირებით.</u>* **შედეგი - შესრულებულია,** ვიზიტის დროს დაწესებულების წამომადგენელმა წარმოადგინა ტრენინგების ჩატარების დღის წესრიგი და შეხვედრის ამსახველი ფოტო მასალა

პროგრამა საბაჟო საქმე

ა) ***<u>განმავითარებელი რეკომენდაცია 2.2.3.</u>*** *პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - <u>ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლების შემდგომ გადამზადებასთან დაკავშირებით.</u>* **შედეგი - შესრულებულია,** ვიზიტის დროს დაწესებულების წამომადგენელმა წარმოადგინა ტრენინგების ჩატარების დღის წესრიგი და შეხვედრების ამსახველი ფოტო მასალა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IX . სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1.5 ინდიკატორი - *დაწესებულებას არ ყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესრულების დრო მიმდინარე წლის მაისის პერიოდია, მასში გაწერილია შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი და ადასტურებენ გეგმის შესრულების შესაძლებლობას აღნიშნულ ვადაში.* (იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი *5.1.1.5)*

5.1.2.1 ინდიკატორი *- დაწესებულებას არ ქონდა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების დარღვევის აღმოფხვრაზე.აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა ,, დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ", აქტივობის სრულყოფისათვის დაწესებულების მიერ სავარაუდო დროდ გაწერილია მიმდინარე წლის ივნისი. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტები და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად (იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.1.2.1)*

5.1.2.3 ინდიკატორი - *დაწესებულებას აქვს საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა, რომელიც არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ, თუმცა აღნიშნული გეგმა არ იყო შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში აღნიშნული აქტივობის სრულყოფისათვის სავარაუდო დროდ გაწერილი აქვს მიმდინარე წლის ივნისი. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტი და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად (იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.1.2.3)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.2.1.3 ინდიკატორი - დაწესებულების სამოქმედო გეგმაში რიგ აქტივობებზე არ იყო განსაზღვრული ადამიანური და მატერიალური რესურსი, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია: *სამოქმედო გეგმაში დაცული იქნას ერთიანი მიდგომა, ყველა განსაზღვრულ ამოცანას მიეთითოს შემსრულებელი პირები და საჭირო რესურსი (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური)*. *(*იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი *1.2.1.3)*

2.2.1.6 ინდიკატორი - ორივე პროფესიული საგანამაანთლებლო პროგრამის ფარგლებში (საექთნო განათლება; საბაჟო საქმე) - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. *თუმცა, აღნიშნულ წესთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია დაწესებულებამ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად).* *(*იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი *2.2.1.6)*

3.1.1.3 ინდიკატორი - *უნივერისტეტმა მოახდინოს დაწესებულებაში დადგენილი პრაქტიკის დოკუმენტირება, კერძოდ: უზრუნველყოს მარეგულირებელი წესების პროფესიული სტუდენტებისათვის გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემუშავება. ეს მიდგომა განავრცოს სხვა ტიპის აქტივობებზეც.* (იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი *3.1.1.3)*

3.2.1.3. ინდიკატორი - *დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს უნივერსიტეტში დამკვიდრებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები, სხვადასხვა ადმინისტრაციული წარმოების ვადები.* (იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი *3.2.1.3.)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XI. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, კერძოდ:*** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია შემუშავებულია 30-წლიანი არსებობის მანძილზე დაგროვილი გამოცდილებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველზე. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, რადგან იგი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზებით, უზრუნველყოფს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადებას. ასევე, მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ფორმალური და არაფორმალური გზით განათლების მიღების შესაძლებლობას;
2. ***მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებისგან, კერძოდ:*** დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება სხვადასხვა პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, როგორიცაა, მაგ: საბაჟო საქმე, საექთნო განათლება, IT ტექნოლოგიები და სხვა. დაწესებულების მიერ პროგრამების დამატება ხდება რეგიონის ბაზრის კვლევის შესაბამისად, რაც გულისხმობს რომ დაწესებულება გარკვეულ როლს თამაშობს რეგიონის განვითარებაში. დაწესებულება, პროფესიული პროგრამების განხორციელების ფარგლებში, თანამშრომლობს რეგიონში როგორც კერძო, ასევე საჯარო დაწესებულებებთან. ვიზიტის დროს ექსპერტებს ქონდათ საშუალება შეხვედროდნენ, დაწესებულების პარტნიორ კერძო სექტორის წარმომადგენლებს, ასევე საჯარო დაწესებულების წარმოამდგენელს, რომელიც ჩართული იყო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესშიც. აღნიშნულის შესაბამისად, შეიძლება ითქვას რომ დაწესებულების მისია არის მამოტივირებელი და ხაზს უსვამს ორგანიზაციის იდენტობას.

3. ***დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები, კერძოდ:*** უნივერსიტეტის ხედვის შესაბამისად ჩანს, რომ პროფესიული განათლების განვითარების პერსპექტივებად მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში მოიაზრება საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კვალიფიციური კადრების მომზადება სამცხე-ჯავახეთისთვის ისეთ პრიორიტეტულ სპეციალობებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, საკვები პროდუქტების გადამუშავება და სხვა. ამის მისაღწევად უნივერსიტეტი შექმნის პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემას, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებელების მონაწილეობის ხელშეწყობას, მაღალკვალიფიციური პროგრამის განმახორციელებელი კადრების მომზადება-შერჩევას. უნივერსიტეტის ფუნქციონირების საფუძველსა და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სამი მთავარი ღირებულება: **თავისუფლება, ეროვნულობა, ტოლერანტობა.** უნივერსიტეტის მიერ არჩეული ღირებულებები ხელს უწყობს პროფესიულ განათლებაში ისეთი მიდგომების დამკვიდრებას, როგორიცაა: ინდივიდუალური მიდგომა თითოეული პროფესიული სტუდენტისადმი/მსმენელისადმი; პროფესიული განათლების უწყვეტობის პრინციპის განხორციელება; ,,სწავლა კეთებით" -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლა/სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გადადის პრაქტიკული უნარების განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე; თანამშრომლობითი ურთიერთობის, კომფორტული და ესთეტიკური სასწავლო გარემოს შეთავაზება; მნიშვნელოვანი რესურსის - მოტივირებული პროფესიული პედაგოგების მიერ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა; სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის უზრუნველყოფა; ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირება; მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა, ტრადიციებზე დაფუძნებული ინოვაციურობა და პროგრესულობა; უწყვეტი განათლებით დაინტერესებული პირებისთვის პროფესიული განვითარებისა და წარმატებული კარიერის შექმნისთვის ხელშემწყობი საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფა.

4. ***მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ:*** ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ მისიის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესი იყო და შემუშავებაში ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც დაწესებულების მიერ დაგზავნილი იყო განსახილველად მისია, ხედვა და ღირებულებები. ასევე ჩართულ პირებს დაეგზავნათ შესაბამისი კითხვარები უკუკავშირის მისაღებად. დაწესებულებამ წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩატარებული შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა. მისია ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე და გამოკრული იყო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების დამადასტურებელი დოკუმენტაციით(პრეზენტაცია,კითხვარები და შედეგების ანალიზი, მისიის გაზიარების შეხვედრის ოქმი);
- მისიის,ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩატარებული შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- დაინტერესებულ მხარეებთან, პროცესში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად ჩატარებული გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. კერძოდ:*** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N3 დადგენილებით 2019 წლის 12 თებერვალის, ოქმი N1-ით დამტკიცებულია, ***სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.*** ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული დოკუმენტი და ჩატარდა უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ ***სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, მათ მიერ შემუშავებული იქნა მეთოდოლოგია, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა იქნა განსაზღვრული. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტარტეგიული დაგეგმვის მიზანს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესსა და ეტაპებს, სტარტეგიული განვიარებისა და შეფასების შედგებზე რეაგირების მექანიზმს.*** სტარტეგიული დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ჩართულობას უნივერსიტეტის შეფასებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის დონეზე და ხელს უწყობს უნივერსიტეტში ორგანიზაციული კულტურის განვითარებას. შესაბამისად, დაწესებულება ხელმძღვანელობს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით შვიდწლიანი, ციკლური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული განვითარების, სამწლიანი და ერთწლიანი (პროფესიული განათლების ფარგლებში) სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

2. ***დაწესებულებას გათავისებული აქვს, რომ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის და რეგიონის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების*** მოლოდინს, რის საპასუხოდ იგი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენისას იყენებს მეთოდოლოგიას, რომელშიც გაწერილია პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, ხოლო ქვეყნის და რეგიონის პრიორიტეტებს ადგენს განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიისა და რეგიონის საჭიროებების საფუძველზე, რაც დასტურდება დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით, გასაუბრება შედგა დაწესებულების რექტოთან, რექტორის მოადგილესთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანთან, დაწესებულების იურისტთან, კურსდამთავრებლებთან და მათ შორის ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსურ კონსულტანტთან, რომელებიც ასევე თავის დროზე ჩართულები იყვნენ სტარტეგიული გეგმის შემუშავების პროცესში. გასაუბრების და არსებული ფოტომასალების შედეგად ასევე დასტურდება დოკუმენტის შემუშავების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული პირის ჩართულობა. ექსპერტთა შეფასებით სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

3. ***დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, კერძოდ: დაგეგმვისას დაწესებულებას სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრავრული აქვს მისიასთან თავსებადი მიზნები:*** 1. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და მათი განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება; 2. პერსონალის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება; 3. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; 4. ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება, ამ მიზნების შესაბამის ამოცანები/აქტივობები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კონკრეტული მიზნები და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და განსახორციელებელი აქტივობები. თუმცა, სამოქმედო გეგმაში რიგ აქტივობებზე შემსრულებელი პირები მითითებული არაა. მაგ: როგორიცაა ადინისტრაციის თანამშრომელბისათვის ტრენინგების დაგეგმვა და ორგანიზება, (ბუღალტერის გადამზადება, იურისტის გადამზადება, თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზება და გაფართოება პროფესიული განათლების ყველა პროგრამისათვის), დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების შედგენის წესი და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისი რესურსები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ***<u>დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია: სამოქმედო გეგმაში დაცული იქნას ერთიანი მიდგომა, ყველა განსაზღვრულ ამოცანას მიეთითოს შემსრულებელი პირები და საჭირო რესურსი (მატერიალური, ფინანსური, .ადამიანური)</u>***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 12 თებერვალს, N3 დადგენილებით ოქმი N1დამტკიცებული - ***სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტარეტიგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.***
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული ***სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი);***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2020 წლის 23 დეკემბერს, N57 დადგენილებით, ოქმი 8 დამტკიცებული ***სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების 2021 წლის სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი)***
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენობითი საბჭოს მიერ 2013 წლის 11 დეკემბერს, N88 დადგენილებით, დამტკიცებული უნივერისტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტის შედგენის წესი.
- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების შეხვედრების ამ სახველი ფოტომასალა
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით კერძოდ: სტრატეგიული განვითარების***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაწესებულების მიერ გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაკვირვებით და შეფასებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფასდება უნივერსიტეტის სტარტეგიის დაგეგმილი მიზნების მიღწევადობა და ეფექტურობა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს შედეგებს და შესაბამის ანგარიშს წარადგენს აკადემიური საბჭოს წინაშე. განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს სტარტეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. ამ მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხედვა, სტარტეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელებისათვის საჭიროებების შესახებ და შესაბამისი ცვლილებების პროექტი. აკადემიური საბჭო წარმოდგენილი პროექტის შინაარსის გათვალისწინებით, ამტკიცებს მას ან ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სტარტეგიული განვითრაებისა და სამოქმედო გეგმების გადახედვას და ცვლილების საჭიროების შესახებ მოსაზრებების წარდგენას.

2. ***დაწესებულება სათანადოდ რეაგირებას განახორციელებს შეფასების შედეგებზე, კერძოდ:*** საჭიროების შესაბამისად, მოხდება სტრატეგიის გადახედვა და საჭიროების მიხედვით კორექტირება. აღნიშნული პროცედურა გაწერილია დაწესებულების შესაბამის მეთოდოლოგიაშიც. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირთან გასაუბრებით დასტურდება რომ გასული წლის სამოქმედო გეგმაში სწორედ დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლების რეკომენდაციებისა და ასევე მათთან განხორციელებული კითხვარის შედეგად, მოხდა განახლება ადამიანური რესურსის განვითარების ნაწილში, სადაც დაგეგმილ აქტივობებს დაემატა კონკრეტული საჭიროებები როგორიცაა მაგალითად, საბაზისო ცოდნა ინგლისური ენისა და კომპიუტერის შესწავლის თვალისაზრისით. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს მიეცა საშუალება უკვე 2021 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის გაცნობის, სადაც აღწერილი იყო სხვადასხვა აქტივობები/ღონისძიებები, დაწესებულების მიერ განხორციელებული და ასევე მომავალი წლისათვის განკუთვნილი, რომელიც მიმდინარე წელს არ იქნა სრულყოფილად შესრულებული, მათ შორის პანდემიური გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე. აღნიშნულიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამომდინარე დასტურდება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასების შედეგებზე დაწესებულებას ექნება სათანადო რეაგირება;

3. ***დაწესებულების სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია ანგარიშის სახით, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 12 თებერვალს, N3 დადგენილებით ოქმი N1დამტკიცებული - ***სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტარეტიგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.***
- 2018, 2020 და 2021 წლების რექტორის ანგარიშები;
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამოქმედო გეგმა და ანგარიშები;
- დაწესებულების მიერ შემუშავებული კითხვარები და შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***დაწესებულების მარეგულირებელი შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, კერძოდ,*** სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 15 მაისის დადგენილებით No11-ოქმი N2 დამტკიცებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის თანახმად, გაწერილია მობილობის წესი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენა; ფორმალური განათლების აღიარება; ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. ამავე დროს, პროფესიული სტუდენტებს აქვთ საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით. ამავე წესში გაწერილია სსსმ პირების უფლებების, ინდივიდუალური გეგმების, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და სხვა საკითხები. აღნიშნული მექანიზმები დაწესებულებას ვებ-გვედზეც აქვს განთავსებული და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს წვდომა მის შინაარსზე. აღნიშნული წესების პრაქტიკაში გამოყენების გადამოწმების მიზნით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითად შესწავლილი იქნა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის შემთხვევაში, ასევე როგორც სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების, ისე არასრულწლოვანების შემთხვევებშიც. ისინი შესრულებული იყო სათანადოდ, რაც ადასტურებს, რომ დაწესებულება იცავს საკუთარი მარეგულირებელი წესების მოთხოვნებს.

2. ***პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, კერძოდ:*** ავტორიზაციის ექსპერტები გაეცნენ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებს, მათ შორის არასრულწლოვანთან გაფორმებულ ხელშეკრულებასაც, სადაც მკაფიოდ წერია მათი უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, ინტერვიუების (ინტერვიუ სტუდენტებთან და მათ შორის კურსდამთავრებულებთან ჩატარდა შერჩევითი პრინციპით) შედეგად სტუდენტებთან დავაზუსტეთ, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას მათი უფლებებისა და კანონების დაცვის მექანიზმებს. მათ ხაზი გაუსვეს, რომ სწავლის დაწყებისთანავე მიმაგრებული ჰყავთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა კარიერული ზრდის ცენტრის წარმომადგენელი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი და პროგრამის ხელმძღვანელი, რომლიც ყველა საჭირო ინფორმაციას აწვდიან ზემოთ ხსენებულ საკითხებზე. ასევე, მათ აღნიშნეს, რომ სარგებლობენ და ეცნობიან დაწესებულების ვებ გვერდზე არსებულ შესაბამის მარეგულირებელ წესებს.

3. ***პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, კერძოდ:*** სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 მაისის N9 დადგენილებით, ოქმი N2, საბჭოს თავჯდომარის მიერ დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“. გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ***პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის***, ასევე იმის შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესის გამოყენება პრაქტიკულად არ მომხდარა, თუმცა პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ნამდვილად ფლობენ ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ, აღსანიშნავია, რომ გაცნობის ფაქტის დოკუმენტური დადასტურება ხელმოწერის სახით არ ხდება.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია: უნივერისტეტმა მოახდინოს დაწესებულებაში დადგენილი პრაქტიკის დოკუმენტირება, კერძოდ: უზრუნველყოს მარეგულირებელი წესების პროფესიული სტუდენტებისათვის გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემუშავება. ეს მიდგომა განავრცოს სხვა ტიპის აქტივობებზეც.</u>

4. ***დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადების სპეციფიკა, კერძოდ: ექსპერტების მიერ მოხდა შერჩევითი პრინციპით *სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, მათ შორის არასრულწლოვან პირთანაც, სადაც ნათლადაა გაწერილი მათ უფლებები და კანონიერი ინტერესები.*

5. *დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,* რაც დასტურდება სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 15 მაისის დადგენილებით No11-ოქმი N2 დამტკიცებულ „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესიში“ გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით, 8-ე და 15-ე მუხლების, 10-ე(8-ე მუხლი) პუნქტის და მე-2-ე (15-ე მუხლი) პუნქტის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლებელია განისაზღვროს მაშინ, როცა სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტისთვის, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებისგან; პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის გზით; პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დაწესებულებასთან ვიზიტის დროს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ჯერ არ დამდგარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 15 მაისის დადგენილებით No11-ოქმი N2 დამტკიცებულია „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 მაისის N9 დადგენილებით, ოქმი N2, საბჭოს თავჯდომარის მიერ დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“.
- დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულები;
- ადმინისტრაციასთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად,*** რაც იკითხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 2[1]- ***„დაინტერესებულ პირთა კონსულტირება“*** ქვეპუნქტში. ასევე სჯსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა კარიერული ზრდის ცენტრი ახდენს სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიებების / აქტივობების განხორციელებს დაინტერესებული მხარისადმი, როგორიცაა: კარიერულ დაგეგმასთან დაკავშირებული ინფორმაცია; პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აცნობს მათ კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ სამუშაო შესაძლებლობებს; პროფესიული სტუდენტის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციები ვადებისა და ფორმის მითითებით. ასევე დაწესებულებაში არსებობს ე.წ. რექტორის საათი სადაც შესაძლებლობა აქვს უნივერსიტეტის სტუდენტებს რექტორთან შეხვედრის და მათთვის საინტერესო თუ მნიშვნელოვანი საკითხების გავლის. აღნიშნული წესის პრაქტიკაში გამოყენების გადამოწმების მიზნით ჩატარდა ინტერვიუები პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რომლებმაც დაგვიდასტურეს ზემოაღწერილი სერვისის პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ***დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ:*** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 2 [1] -ის პირველი და მეორე ქვეპუნქტით და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სწავლის დაწყების მომენტიდან ხდება პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად სტუდენტებს აცნობს უნივერსიტეტის სერვისებს და ინფრასტრუქტურას, ვებ-გვერდსა და ფეისბუქ-გვერდს. აგრეთვე ეცნობიან უნივერსიტეტის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სასწავლო წლის დასაწყისში, სტუდენტებს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უტარებს ზოგადი უსაფრთხოების წესების შესახებ ინსტრუქტაჟს.
3. ***დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. კერძოდ:*** პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, სასწავლო პროცესიდან დროებით გათავისუფლებასთან, მობილობასთან, ცნობის მოთხოვნასთან, სტატუსის შეჩერება/აღდგენასთან დაკავშირებით. ისარგებლოს კონსულტაციით ან დაწეროს განცხადება, რასაც ეძლევა შესაბამისი მსვლელობა. დაწესებულებაში სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე უშუალოდ პასუხისმგებლები არიან ფაკულტეტის დეკანები და სტუდენტთა კარიერული ზრდის ცენტრი. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერა მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მოთხოვნილი მხარდაჭერის მიზნებიდან გამომდინარე და პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადმინისტრაციულ სერვისებს აფასებენ დადებითად. მათ განაცხადეს რომ აქვთ ინტენსიური კომუნიკაცია აღნიშნულ სამსახურებთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომ კონსულტაციის მიღება შესაძლებელია სატელეფონო თუ ინტერნეტ კომუნიკაციითაც და ამ მხრივ არავითარი პრობლემა ან შეფერხება არ შექმნიათ. პროფესიული სტუდენტები მხარდაჭერის სერვისებს აფასებენ დადებითად. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დაწესებულების წარმომდგენლებთან. მათ განაცხადეს, რომ ხდება პროფესიული სტუდენტებისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და კონსულტაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გონივრულ ვადაში გაწევა. **განმავითარებელი რეკომენდაცია:** ***<u>დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს უნივერსიტეტში დამკვიდრებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები, სხვადასხვა ადმინისტრაციული წარმოების ვადები.</u>***

4. ***უნივერსიტეტი ახორციელებს დამატებითი აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, კერძოდ:*** ამ მიზნით დაწესებულება ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება დაწესებულების მიზნებსა და საქმიანობის სფეროს; ისინი გეგმავენ აქტივობებს, გამოყოფენ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის - ღონისძიების მომწყობს - რომელიც ინიციატივის საფუძველზე ათანხმებს ვადებს, რესურსებს და დაგეგმილ აქტივობებს. განსახორციელებელ ღონისძიებას აანონსებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ (ფეისბუქ) გვერდზე. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ვებგვერდი, ფეისბუქგვერდი, სხვადასხვა ჩანაწერები, ანგარიშები და დოკუმენტები (ფოტო მასალა) განხორციელებული ან/და განსახორციელებელი სტუდენტური ინიციატივების (პანდემიის გამო შეფერხებული ღონისძიებები), აქტივობებისა პროექტების შესახებ, რითიც დადასტურდა ზემოაღნიშნული.

5. ***პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. ქმნის კითხვარებს, აანალიზებს მათ და შესაბამისად რეაგირებ. კერძოდ,*** დაწესებულება პროფესიული სტუდენტისგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი იღებს უკუკავშირს სტუდენტებისგან და შემდეგ შესაბამისად რეაგირებს მათზე. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა ზემოაღნიშნული კითხვარები, მათი შეფასებისა და ანალიზის დოკუმენტები და ანგარიშები, რომლებშიც გაწერილია შესაბამისი რეკომენდაციები. აქვე აღსანიშნავია რომ არსებული პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოიკვეთა დისტანციური სწავლის ხარისხიანად წარმართვისათვის ნოუთბუქების და ინტერნეტით უზრუნველყოფით მხარდაჭერის საჭიროება, რაც დაწესებულებამ უზრუნველყო მათ საკუთრებაში არსებული ტექნიკის დროებით სარგებლობაში გადაცემის და ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და შედეგები;
- ჩანაწერები განხორციელებული საკონსულტაციო, მხარდამჭერი მომსახურების შესახებ;
- ნოუთბუქებისა და ინტერნეტის სერვისით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ ***დაწესებულებაში კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის, კერძოდ*** უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის პროცესს კურირებას უწევს „სჯსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა კარიერული ზრდის ცენტრი", რომელსაც დავალებული აქვს შემდეგი აქტივობები: სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შეუქმნას დამატებითი შესაძლებლობები დასაქმებისა და კარიერული განვითარების კუთხით; დამსაქმებლებს გაუმარტივოს სასურველი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოძიება და შერჩევა; საგანმანათლებლო დაწესებულებას დაეხმაროს პროგრამების განვითარებაში და მათ მიახლოებაში შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. დაწესებულება სხვადასხვა ღონისძიებებით/აქტივობებით ახდენს არსებული პროფესიული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას პოტენციური სეგმენტისათვის, ტარდება შეხვედრები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხდება სოციალური გვერდისა და დაწესებულების ვებგვერდს საშუალებით. დაწესებულებამ წარმოადგინა მათ მიერ შესრულებული ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ; ვიზიტის დროს ექსპერტებს საშუალება ქონდათ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების. გასაუბრების შედეგად დასტურდება რომ როგორც პროფესიული სტუდენტები სწავლის პროცესში, ასევე კურსდამთავრებულებიც იღებენ შესაბამის მხარდამჭერ სერვისებს დაწესებულების მხრიდან, როგორიცაა მაგალითად დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება კურსადმთავრებულებისათვის. გასაუბრებისას აღნიშნეს რომ დაწესებულების მხარდაჭერით ისინი დასაქმებულები არიან პროფესიის შესაბამისად და მიუხედავად იმისა რომ მათ უკვე რამდენიმე წელია დასრულებული აქვთ სასწავლებელი, ჯერ კიდევ თანამშრომლობენ დაწესებულებსათან და იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას და ისინი მიღებულ კარიერულ სერვისებს აფასებენ დადებითად.
2. ***დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირები***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ, ისინი მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ მოლაპარაკებას დამსაქმებლებთან. ახორციელებენ დამსაქმებლების ვაკანსიების მონაცემთა ბაზის ფორმირებს; ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ხელშეწყობის მიზნით; რასაც ახორციელებს შექმნილი ბაზებით, რაც სტუდენტებთან კომუნიკაციას ეფექტურს ხდის. აღნიშნული საკითხის პრაქტიკაში გადამოწმების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები დამსაქმებლებთან და მათ შორის კურსდამთავრებულებთან, რომელბიც ასევე დამსაქმებლბიც არიან უკვე. გასაუბრების შედეგად დასტურდება მჭიდრო თანამშრომლობა უნივერსიტეტთან.

3. ***სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 4 ნოემბრის N47 დადგენილებით, ოქმი N7, დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთვარებულთა კვლევის მეთოდოლოგია,“*** რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს: პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრენულების მიერ შეფასება, მათთვის გაწეულ მომსახურეების შესააბამისად. დაწესებულება პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, რისთვისაც შემუშავებული აქვს მონიტორინგის მეთოდიკა, სადაც გამოკვეთილია სხვადასხვა ფუნქცია: განახორციელოს იმ მონაცემების შეგროვება, რომლებიც საკმარისად დაახასიათებენ საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმებას, მათ შორის სპეციალობების მიხედვით; კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცესის ეფექტურობის კვლევა, იმ ინდიკატორების შემუშავებისა და გამოთვლის მეშვეობით, რომლებიც აფასებენ შედეგიანობას და ოპერატიულობას. პოტენციური დამსაქმებლების წრის განსაზღვრა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის; საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკის ორგანიზების ხარისხის კვლევა; სტუდენტთა კარიერული პრეფერენციების განსაზღვრა, კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის ანალიზი. როგორც ინტერვიუს დროს გახდა ცნობილი დაწესებულება ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების სისტემატიურ კვლევას. სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევისათვის იყენებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სატელეფონო ინტერვიუს ფორმასაც.დაწესებულებამ წარმოადგინა კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევის შედეგები და კვლევის მაჩვენებლები.

4. ***კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ანკეტებს, ინტერვიუებს, სატელეფონო გამოკითხვები, დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს კერძოდ,*** ამ გამოკითხვებს იყენებენ საკადრო საჭიროებების გამოსავლენად და პროგნოზირებისათვის, მოთხოვნადი სპეციალობების და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ჩამონათვალის ფორმირებისათვის, კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხის გაზრდის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 4 ნოემბრის N47 დადგენილებით, ოქმი N7, დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთვარებულთა კვლევის მეთოდოლოგია“;
- პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალა;
- დაწესებულების მიერ შემუშავებული კითხვარები და ანალიზი;
- ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტომასალა;
- პროფესიულ სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები დაწესებულებაში დარეგულირებულია სხვადასხვა აქტებით: დაწესებულების წესდებით (***დაწესებულებაში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინსტრის მიერ 2014 წლის 13 მაისს დამტკიცებული N52/ნ ბრძანება „უნივერსიტეტის წესდება“)*** **სადაც გაწერილია მათ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შორის დაწესებულების სტრუქტურა, რომელიც ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, თანამშრომელთა სამსახურებრივი ინსტრუქციები, კონკურსის წესი, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის ***დაწესებულების 2013 წლის 11 დეკემბრის დაგენილება N103, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის განყოფილების დებულება, რომლის*** ძირითადი მიზანია საკადრო პოლიტიკის ხელშეწყობა; პერსონალის განვითარებისა და სტიმულირების მხარდაჭერა; კადრების დინამიკაზე მუდმივი სპეციფიკური დაკვირვება. დაწესებულების წესდებაში ასევე არის ასახული სამუშაო აღწერილობებიც, წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრულია უნივერსიტეტის სტრუქტურა და სტრუქტურულ ერთეულში დასაქამებული პერსონალის ფუნქცია - მოვალეობები და პასუხიხმგებლობები. აღსანიშნავია რომ ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სტრუქტურისა და სამუშო აღწერილობების განახლების პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოგვიდგინა განახლებადი დოკუმენტის მიმდინარე სამუშაო პროექტი. შესაბამისად დაწესებულებაში დასაქმებული პირები / სტრუქტურუელი ერთეულების ფუნქცია მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული.

2. ***დაწესებულების პერსონალს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;*** დაწესებულება სასწავლო პროცესებს ახორციელებს სამ სასწავლო კორპუსში, ამათგან პირველი და მეორე სასწავლო კორპუსი ქ. ახალციხეში, ხოლო მესამე კორპუსი ქ. ახალქალაქში. დაწესებულებას სამივე კორპუსში ყავს დაცვის სამსახური, დამლაგებელი, ბიბლიოთეკარი და მედდა, ასევე დაწესებულების მესამე სასწავლო კორპუსში ქ. ახალქალაქში არის საქმის მწარმოებელი. დაწესებულებას ასევე ყავს IT სამსახურის თანამშრომლები, რომლეთა ძირითადი სამუშაო ადგილმდებარეობა არის ქ. ახალციხის მეორე სასწავლო კორპუსი, სადაც დაწესებულების ადმინისტრაციული ნაწილია განთავსებული, თუმცა გასაუბრებით დასტურდება რომ კვირაში ერთხელ ხდება IT სამსახურის თანამშრომლის ვიზიტი ახალქალაქში გეგმიურად და ამასთანავე საჭიროებისამებრ თუ კი იქნება აუცილებელი დამატებითაც. დაწესებულებაში სწორადაა განსაზღვრული პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება სამოქმედო გეგმაში გაწერილი შესასრულებელ სამუშაოებზე პასუხისმგებელ პირთა სწორად განსაზღვრით. ასევე, ინტერვიუს დროს პერსონალთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგელობები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის, არც არათანიმდევრულია, არამედ ხელს უწყობს დაწესებულის ძირითადი საქმიანობის განხოციელებას.

3. *დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.* ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის საქმიანობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგის შესწავლა. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია აქტივობები და მისი ფუნქციობი, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს დაწესებულების შიგნით მიმდინარე პროცესების ხარისხს იმგვარად, რომ გამორიცხულია ინტერესთა კონფლიქტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინსტრის მიერ 2014 წლის 13 მაისს დამტკიცებული N52/ნ ბრძანება „უნივერსიტეტის წესდება“
- დაწესებულების 2013 წლის 11 დეკემბრით დაგენილება N103, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსის მართვის განყოფილების დებულება
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები, ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ხარისხის უხრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, ხარისხის უხრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად, კერძოდ,*** დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად. დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ადამიანური რესურსი განსაზღვრულია როგორც - ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალურად ან/და ჯგუფურად მუშაობენ კოლეჯის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისათვის. თითოეულ დასაქმებულში გაერთიანებულია მისი ცოდნა, უნარები, გამოცდილება, შესაძლებლობები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პიროვნული თვისებები, ინტერესები, მიზნები, მისწრაფებები. კოლეჯს განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები. ადამიანური რესურსების მართვის მიზანია: კოლეჯის შესაბამისი კომპეტენტური და მოტივირებული პერსონალით უზრუნველყოფა; დასაქმებულ პირთა გუნდური, ერთობლივი და წარმატებული მუშაობის ხელშეწყობა; დასაქმების გამჭირვალე პროცედურები, სამართლიანი და ეფექტური დასაქმების პოლიტიკა; დ) თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ხელშეწყობა; ე)თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სამართლიანი შეფასება და წახალისების ფორმების გამოყენება. ადამიანური რესურსების მართვის ამოცანაა: სამუშაო ადგილების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალით დაკომპლექტება; თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა; თანამშრომლებთან ურთიერთობისას შრომის კანონმდებლობის დაცვა და სხვა ამოცანები. დაწესებულებაში ყველა პერსონალი იცნობს შინაგანაწესისა და მასში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას, რაც ხელმოწერით არის დადასტურებული და ასევე, მათ მიერ დადასტურებული იქნა ინტერვიუს ფარგლებშიც.

2. ***დაწესებულებას პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, კერძოდ,*** დაწესებულებაში მუდმივად ხდება ადმიანური რესურსების მოძიება და აყვანა მათ შორის პროფესიული პროგარამების განმახორციელებლების შერჩვა შესაბამის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 22 ივნისს N25 დადგენილებით, ოქმი N 3 - "პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი". ამავე წესში დანართი 1 თანახმად გაწერილია „პროფესიული მასწავლებლის მიღების პროცედურები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები". დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის მართვის მართვის პოლიტიკა". დოკუმენტის მესამე თავში უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით, სადაც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნები, დაწესებულების პერსონალის მოზიდვა, შერჩევა და განვითარება, პერსონალის მოძიების საშუალებები, პერსონალის შერჩევა, თანამდებობის დაკავების წესი და სხვა. ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დასტურდება რომ დაწესებულების მიერ გამოცხადებული ვაკანსიები თავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში, ასევე იბეჭდება უნივერსიტეტის გაზეთში და სხვა, მათ შორის გამოიყენება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები.პერსონალის შერჩევის ზოგადი კრიტერიუებია: პროფესიონალიზმი, განვითარებაზე ორიენტირება, სიახლეებისადმი ღიაობა, პასუხისმგებლობა, გუნდური მუშაობის უნარი და სხვა; ხოლო პროფესიული განათლების პედაგოგთა შერჩევისას დგინდება მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან. ადამიანური რესურსების შერჩევის მიზანია მოხდეს თანამედროვე უნარების მქონე, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანაშრომლებით დაკომპლექტება. აღნიშნული წესის პრაქტიკაში გადამოწმების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების ვებგვერდი, საკადრო დოკუმენტები და შერჩევითი პრონციპით პერსონალის პირადი საქმეები და მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისად და ჩატარებული იქნა ინტერვიუები.

3. ***დაწესებულებაში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნათა დადარებით,*** აგრეთვე, მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხითა და შექმნილი დოკუმენტებით. უნივერსიტეტს ვიზიტის დროს ქ.ახალციხეში და ქ. ახალქალაში ერთიანად ყავს ადმინისტრაციული (საშტატო) – 85 (11 ახალქალაში, III სასწავლო კორპუსი) თანაშრომელი და ასევე 46 (6 ახალქალაქში, III სასწავლო კორპუსი) არასაშტატო თანამშრომელი. ამათგან დაცვის თანამშრომელი, დამლაგებელი, ბიბლიოთეკარი, მედდა დაწესბულებას ყავს სამივე სასწავლო კორპუსში, ხოლო საქმისმწარმოებლის სპეციალისტი ყავს დამატებით ქ.ახალქალში, მესამე სასწავლო კორპუსში. აქვე აღსანიშნავია რომ ახალქალაქში IT სპეციალისტის მუდმივი თანამშრომელი არაა და ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალციხეშია ძირითადად დასაქმებული, თუმცა გასაუბრებით და მათთან გაფორმეული ხელშეკრულებით დასტურდება რომ მათ აქვთ პასუხისმგებლობა კვირაში ერთხელ გეგმიურად ვიზიტის ახალქალაქში და დამატაებით საჭიროებისამებრ. ასევე 2021 წლის 23 დეკემბრის მონაცემებით დაწესბუელბას აქვს ხელშეკრულება გაფორმებული ორივე ქალაქში ერთად 35 პროფესიული განათლების განმახორციელებელ პირთან. დაწესებულებას მკაფიოდ აქვს გაწერილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთაც აკმაყოფილებს დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციები, მათი რეზიუმეების, კვალიფიკაციათა დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სერტიფიკატების მიხედვით. ასევე, ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე;

4. ***დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა.*** დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულებაში თითოეული პირი მათი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, ჩართულია ნებისმიერი სხვა ტიპის სასწავლო პროცესში. დაწესებულებაში შეინიშნება გუნდური მუშაობის პრაქტიკა. ინტერვიუს დროს დადასტურდა, პრაქტიკულად, ყველა გამოკითხულ პერსონალში, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას და მონაწილეობენ ყველა მნიშვნელოვან პროცესზე. იციან სტანდარტები, რაც დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით. მათ ასევე, მონაწილეობა აქვთ მიღებული დაწესებულების პოლიტიკის შემუშავებასა და ახალი მიზნებისა თუ ამოცანების დასახვაში, რაც დაადასტურეს ინტერვიუს ფარგლებში. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი გაზიარებულია ვებგვერდზე და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ნებისმიერი თანამშრომლისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნი ბრძანებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- დაწესებულების წესდება;
- დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა - (პერსონალის მოზიდვის, შერჩევა/დანიშვნის პროცედურები);
- პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი
- ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას; დაწესებულებას მართვის პოლიტიკის მარეგულირებელ დოკუმენტში თავი 5 გაწერილი აქვს პერსონალის განვითარებისა და საქმიანობის შეფასების მექანიზმი. უნივერსიტეტში პროფესიული განვითარებისა და შეფასების მექანიზმების მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, საჭირო უნარების ჩამოყალიბებასა და კომპეტენციების ამაღლებას; უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლისათვის განვითარების ხელმისაწვდომობას და თანაბარ პირობებს; დოკუმენტში დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა გაცნობილი პერსონალისთვის. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროების ინიცირება ხდება მისი უშუალო ხელმძღვანელის მიერ. დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას. შეფასება ხდება ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე, თვითშეფასების გზით, სტუდენტთა შეფასების გზით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის შეფასების მონაცემების შეჯამებასა და ანალიზზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის განმახორციელებელი პირების შეფასება ხდება პროფესიული სტუდენტის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის მიერ წარმოდგენილია კითხვარები, რომლთაც სარგებლობს აღნიშნული აქტივობის განსახორციელებლად და ასევე კვლევის ანაზლის ანგარიშები. დაწესებულების ადმინისტრაციული თანამშრომლები, კერძოდ, ის თანამდებობები, რომლებსაც სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ენიჭებათ კონკრეტული მიზნების მიღწევის პასუხისმგებლობა, ფასდებიან ყოველწლიურად ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორების მიხედვით. დაწესებულების ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებაში აქტიურად არის ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს დაწესებულების წარმოამდგენელემა გაგვაცნო დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში - 2020“ სადაც გამოყენებული იყო დაწესებულების მიერ გაწერილი პროცედურები აღნიშნული დოკუმენტის შესაქმენლად, ანგარიშის თნახმად პერსონალის საქმიანობის შეფასება იყო განხორცილებული ქულობრივი სისტემით, სადაც თავმოყრილი იყო სხვადასხვა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი ანგარიშები და შესაბამისად მომზადდა მონაცემთა ანალიზი მიმართულებების შესაბამისად, ასევე დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დასტურდება რომ გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად იყო უკუკავშირებიც ადმინისტრაციის მხრიდან ჩაინიშნა საჭიროებისამებრ ტრენინგებიც, რომლის ფოტომასალაც ასევე წარმოადგინა დაწესებულებამ. ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის დეკემბერში შესაბამისად არ იყო 2021 წლის ანგარიში დასრულებული.

2. პერსონალის განვითარების მექანიზმი გაწერილია პერსონალის მართვის პოლიტიკის მე-7 მუხლში ,,პერსონალის შეფასება და სამუშაო კმაყოფილების მონიტორინგი“. ***პერსონალის შეფასების მიზანია უზრუნველყოს აკადემიის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და მასზე დაყრდნობით განსაზღვროს პერსონალის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების შესაბამისი აქტივობები.*** ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის შეფასების სისტემა გულისხმობს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას, შეფასება ხდება ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე, თვითშეფასების გზით, სტუდენტთა შეფასების გზით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის შეფასების მონაცემების შეჯამებასა და ანალიზზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითა და დაწესებულების დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ 2022 წლის სამოქმედო გეგმაში ისევე როგორც 2021 წლის სამოქმედო გეგმაში უნივერსიტეტს გათვალისწინებული აქვს განმავითარებელი ღონისძიებები და საჭიროების შესაბამისი ტრენინგების ჩატარება. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

3. ***დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით კერძოდ,*** დაწესებულება პერსონალის ზრდა - განვითარებისათვის უნივერსიტეტი ატარებს გამოკითხვებს, ტრენინგებს, კონფერენციებს, აფასებს შესრულებულ სამუშაოს და საჭიროების შემთხვევაში კვალიფისკაციის ამაღლების მიზნით ახდენს მომზადება- გადამზადებას. ინტერვიუს დროს პერსონალის გამოკითხვისას დადასტურდა, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ ზემოთ ხსენებულ ღონისძიებებში. საჭიროებისამებრ იწვევენ დარგის ექსპერტებს. აღსანიშნავია რომ გასულ წელს უნივერსიტეტმა უზრუნველყო ინგლისური ენისა და კომპიუტერული უნარჩვევების ტრენინგ კურსების ჩატარება, რისი საჭიროებაც გამოკითხვის შედეგად იქა გამოკვეთილი.

4. ***დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, კერძოდ:*** უნივერსიტეტში პერსონალის მოძიებისათვის გამოიყენება: უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; სოციალური ქსელები; უნივერსიტეტის გაზეთი და სხვა, მათ შორის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები. ახალი თანმშრომლის აყვანისას, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; რომელიც ასევე გაწერილია მართვის პოლიტიკის დოკუმენტში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულ აქტივობას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ახალი თანამშრომელი ეცნობა და ხელს აწერს თანხმობის შესახებ შესაბამის დოკუმენტს როგორიცაა მაგალითად საათობრივი დატვირთვა, სამუშაოს აღწერილობა, საჭიროების შემთხვევაში პირადი მონაცემების გამოყენება და ვიდეო კონტროლის განხორციელება;

5. ***სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის ზოგადი საფუძვლების თანახმად უნივერსიტეტში არსებობს*** დამსახურებასა და თანასწორი მოპყრობის პრინციპებზე დაფუძნებული წახალისების მექანიზმები, რაც ასახულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესში. დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. თითოეული დასაქმებულის წახალისება ხორციელდება შინაგანაწესის მე-14 მუხლის მიხედვით, რომელიც თანამშრომელს მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისთვის. ასევე პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად ადამიანური პერსონალის სამსახურიდან წასვლით გამოწვეული შესაძლო შეფერხებების თვიდან აცილების მიზნით გამოიყენება შემდეგი პრევენციული მექანიზმები: სამუშაო გარემოს გაუმჯობესება შექმნა, შესაბამისი ანაზღაურების და სხვა წახალისების მექანიზმების გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული წლიურ ანგარიში - 2020წ - „პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები“;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების წესდება;
- შიგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია პერსონალის განვითარების გეგმის შესაბამისი ბიუჯეტი;
- ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.** კერძოდ: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტორიზაციის ვადით საკუთრებში აქვს სამი სასწავლო კორპუსი: ქ.ახალციხეში, ორი სასწავლო კორპუსი და ერთი სასწავლო კორპუსი - ქ. ახალქალაქში. სამივე კორპუსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფლობა დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერებით (მიწის საკადასტრო კოდი: რუსთაველის 113 -N62.09.53.509, ფართობი 24667.00 კვ.მ ., რუსთაველის ქუჩა N122 - მიწის საკადასტრო კოდი: N62.09.60.118 , ფართობი 25348.00კვ.მ; და აღმაშენებლის ქ. N119 - მიწის საკადასტრო კოდი: N63.18.35.180 ფართობი 646.00კვ.მ) დაწესებულებას მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი სივრცეების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმა, რომლის შესწავლის საფუძველზე და ვიზიტის ფარგლებში ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის სისწორე. სამივე სასწავლო კორპუსებში სივრცეებს მინიჭებული აქვთ შემდეგი ფუნქციური მნიშვნელობა:

- ფოიე;
- A გარემოები თეორიული სწავლებისთვის;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი B გარემოები;
- პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის მინიმალური აღჭურვილობით დაკომპლექტებული C გარემოები;
- სივრცე ადმინისტრაცისთვის;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
- ბიბლიოთეკა;
- სამედიცინო კაბინეტი;
- სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისთვის - შესაბამისი ინვენტარით მოწყობილი ;
- არქივი- (ძირითად ადმინისტრაციულ კორპუსში)
- სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის ავტორიზაციის ვადით უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება მატერიალური, სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით(ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება ქონების/რესურსების ბალანსზე არსებობა, შესყიდვის აქტები და სხვა.).სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, როგორიცაა პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფა, ქსელში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი, სათავსოები. ასევე, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებაში მოწყობილია კომპიუტერული კლასები, რომლებიც უზრუნველყოფილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. პროფესიულ სტუდენტებს/პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული სივრცით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ყველა სასწავლო რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დაწესებულების ადმინისტრაციის ოთახები უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, სამუშაო ინვენტარით, სათავსოებით, ქსეროქსისა და პრინტერის აპარატებით.

2. ***დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.*** კერძოდ: უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსების მართვის წესი, რომლის თანახმად პროფესიული სტუდენტებისთვის შეუძლიათ ისარგებლონ დაწესებულების ინფრასტრუქტურით, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებით: სპორტული მოედანით, სპორტული დარბაზით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის გამოყოფილი ფართით და მატერიალური რესურსით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალციხეშიც და ახალქალაქშიც. ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იცნობენ მარეგულირებელ წესს და მათ არ ჰქონიათ რაიმე შეფერხება რესუსების გამოყენების კუთხით.

3. ***დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სამივე სასწავლო კორპუსში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები***. კერძოდ: უნივერსიტეტს ჰყავს დამლაგებლები, რომლებიც რეგულარულად ახორციელებენ საგანმანათლებლო სივრცის დასუფთავებას. ვიზიტის დროს როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ისე სანიტარულ კვანძებში დაცული იყო სისუფთავე, განლაგებული იყო ხელსაბანი სითხე, საშრობი ქაღალდი და სხვა საჭირო რესურსები. დაწესებულებამ წარმოადგინა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით შესაბამისი მატერიალური რესურსების და მასალების შეძენის დოკუმენტაცია. ასევე, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმების აქტი. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახალი კორონარუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით, შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სისტემატიურად ახდენს სამივე კორპუსის მონიტორინგს და ანგარიშს წარუდგენს დაწესებულების ადმინისტრაციის მოადგილეს „სამსახურეობრივი ბარათის“ სახით, სადაც დეტალურად ხდება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მდგომარეობის ასახვა. ვიზიტის პერიდში ავტორიზაციის ექსპერტებს ჰქონდათ გასაუბრება ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და გაეცნენ მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესრულებულ ანგარიშებს.

4. შენობა-ნაგებობა სამივე სასწავლო კორპუსში უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება ადგილზე ვიზუალური დათვალიერებითა და კომუნალური გადახდების ქვითრების გადამოწმებით; თუმცა აღსანიშნავია რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს, სამუშაო შეხვედრები გაიმართა დაწესებულების პირველ სასწავლო კორპუსში, ხოლო დაწესებულების მეორე და მესამე სასწავლო კორპუსებში, სადაც ასევე განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი, მატერიალური რესურსების დათვალიერების მიზნით, აღნიშნული ვიზიტის პერიოდში გათბობა არ იყო ჩართული, რადგან სასწავლო პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დისტანციურად მიმდინარეობდა, თუმცა დათვალიერებით ცენტრალური გათბობის სისტემის არსებობა დაწესებულების სამივე სასწავლო კორპუსში დასტუდრება.

5. დაწესებულებაში არ არის შემუშავებული კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები/შრომის უსაფრთხოების დებულება და შესაბამისი კომპეტენტური პირი / სერტიფიცირებული სპეციალისტი. საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ დაწესებულებას ავალდებულებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის/ ინსპექტორის ყოლას. ***აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესრულების დრო მიმდინარე წლის მაისის პერიოდია, მასში გაწერილია შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, მათ შორის შესაბამისი კომპეტენტური პირი დანიშვნა აღნიშნული პოზიციაზე. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი და ადასტურებენ გეგმის შესრულების შესაძლებლობას აღნიშნულ ვადაში.***

6. ***დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ:*** დაწესებებულების მიერ დამტკიცებულია დადგენილება N54 (23 დეკემბერი, 2020 წელი; ოქმი 8), რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის წესებს. აღნიშნული დოკუმენტის დანართი 1 და დანართი 2 არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მასალა/ ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის და განკარგვის რეგულაციებს და ასევე ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესს., დოკუმენტში გაწერილია თითოეული აქტივობის შესაბამისი პროცედურები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/განყოფილებები. მოდულის განმახორციელებელ პირს მოდულის დაწყებამდე გადაეცემა საჭირო მასალა, ნედლეული, ხოლო დასრულების შემდგომ მოდულის განმახორციელებელი პირისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/ების მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ***ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.*** კერძოდ: დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში გაწერილია მატერიალური რესურსების შეფასების პროცედურა და შემუშავებულია მატერიალური რესურსების შეფასების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს დაინტერსებულ მხარეთა კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები, რომელიც მოიცავდა დაწესებულების რესურსების შეფასებას. დაწესებულების მიერ აღნიშნული კვლევის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ მატერიალური რესურსების განახლების აქტივობები. გარდა არსებული მექანიზმის და კითხვარების შედეგების გაცნობისა, ექსპერტების მიმერ მოხდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასაუბრება, რომელიც შედგა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განმახორციელებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს რომ დაწესებულების მხრიდან შეუფერხებლად მიეწოდებათ საჭირო რესურსები პროგრამების განხორციელების პროცესში.
8. ***დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სამივე სასწავლო კორპუსში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები ქალებისა და მამაკაცებისთვის***, რომლებშიც უზრუნველყოფილია მუდმივი წყლით მომარაგება, უწყვეტი განათება, ვენტილაცია, პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. თითოეულ სველ წერტილში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ხელის ელექტროსაშრობები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენებისთვის უკონტაქტო კალათა. დაწესებულებაში შშმ პირებისთვის მოწყობილია პანდუსები და ადაპტირებული ლიფტები, რომელთა გამოყენებითაც მათ წვდომა ექნებათ დაწესებულების ნებისმიერ აუდიტორიასთან, ადმინისტრაციის კაბინეტებთან, ბიბლიოთეკასთან თუ სხვა დანიშნულების ფართებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ***ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა*** დაწესებულების სამივე სასწავლო კორპუსში, სასწავლო აუდიტორიებს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; უნივერსიტეტის ყველა სასწავლო გარემოში, ფოიეში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება. დაწესებულებამ წარმოადგინა მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის დოკუმენტაცია.
10. ***სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, კერძოდ:*** - უნივერსიტეტის სამივე სასწავლო კორპუსში სასწავლო, სამუშაო სივრცეები ისეა გადანაწილებული, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.
11. ***პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებისათვის სამივე სასწავლო კორპუსში ხელმისაწვდომია შესაბამისი მატერიალური რესურსები, კერძოდ:*** დაწესებულების ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, აღნიშნული რესურსის გამოყენება რეგულირდება დაწესებულებაში არსებული ბიბლიოთეკის დებულებით, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით. ბიბლიოთეკებში სამკითხველო დარბაზები მოწესრიგებულია, განთავსებულია განათების საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, ქსეროქსის, პრინტერის და სკანერის აპარატები. დაწესებულებაში დასაქმებული ბიბლიოთეკის თნამშრომლები, პასუხისმგებლები არიან ბიბლიოთეკაში არსებული როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობაზე. საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად ხორციელდება წიგნების აღრიცხვა, ტექნიკურად მოწესრიგება, ჟურნალში გატარება და კატალოგში დამატება. დაწესებულების სამივე სასწავლო კორპუსში, ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულება სისტემატიურად ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვას საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით. პროფესიულმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დადებითად შეაფასეს ბიბლიოთეკის მომსახურება. ბიბლიოთეკის რესურსის შემოწმება / გამოყენება შესაძლებელია დაწესებულების ვებ - გვერდიდანაც: https://sjuni.edu.ge/%e1%83%91%e1%83%98%e1%83%91%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%9d%e1%83%97%e1%8

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;
- სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია;
- ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია;
- ინვენტარის აღწერა/განახლება/შეკეთების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები და განვითარების გეგმა;
- შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება დაწესებულების სივრცეების/ფართების ფლობა
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემისა და კატალოგის შემოწმების შედეგი;
- პსდ-ს მიერ ჩატარებული პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სანიტარიული ნორმების დაცვის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროფესიულ სტუდენტებთან / პროფესიული პროგრამების განამხორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ, სამივე სასწავლო კორპუსთან დაკავშირებით, წარმოადგინა შპს „მესხმშენპროექტის“ ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული უსაფრთხოების (მდგრადობის) დასკვნა (ს/კ 224092274) ქ. ახალციხეში და ქ. ახალქალაში არსებული სასწავლო კორპუსების განთავსებული შესაბამისობის შესახებ, რომლის მიხედვითაც შენობის მდგრადობა დასტურდება. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ დაწესებულება ახორციელებს გარკვეულ აქტივობებს უსაფრთხების მიმართულებით. კერძოდ, გამოკრული აქვს საევაკუაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმა ყველა კორპუსში, პერიმეტრზე განლაგებულია ცეცხლმაქრები და ხარძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, საავარიო სახანძრო ონკანები, დანიშნული ჰყავთ პირი, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოების დაცვაზე დაცვის სამსახურთან თანამშრომლობით. სახანძრო უსაფრთხოების ფარგლებში დაწესებულებას ჩატარებული აქვს დასაქმებულებისათვის და პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული სწავლება/ინსტრუქტაჟი. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა აღნიშნული აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები. თუმცა, დაწესებულებას არა აქვს დასკვნა შენობა ნაგეგობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა ნაგებობის უსაფრთოების შესახებ და არც მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების დარღვების მოთხოვნის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ***დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა „დაწესებლების მიერ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი დასკვნის მოპოვება“, დაწესებულების მიერ სვარაუდო დროდ გაწერილია მიმდინარე წლის ივნისი.ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტი და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად.***

2. ***დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, კერძოდ:*** წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულია დოკუმენტი „სამედიცინო პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და შრომითი სამართლებრივი ურთერთობების დადგენილება“ (2019 წლის 17 ივნისი; დადგენილება N27), სადაც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და დახმარების აღმოჩენისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალის სამუშაო აღწერილობები. დაწესებულებას სამივე სასწავლო კორპუსში ყავს პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელ პირები(ექთნები), მათთან აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული პერსონალის კომპეტენცია შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიერ გაწერილ სამუშაო აღწერილობებთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ისეთი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომლის კომპეტენცია არ აქვს ექთანებს, ოპერატიულად გამოძახებული იქნება სასწრაფო დახმარება. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია 112-ის ტელეფონის ნომერი, რომელზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში. უნივერსიტეტის სამედიცინო პერსონალი აწარმოებს ჟურნალში მომართვიანობის აღრიცხვას, რაც დადასტურდა როგორც გასაუბრებებით, ისე ადგილებზე სამედიცინო კაბინეტების ვიზუალური დათვალიერებით. კაბინეტები აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით თუ რესურსით. სტუდენტები და უნივერსიტეტში დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების შესახებ

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.** კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ხანძრის პირობებში ევკუაციის უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მოქმედების ინსტრუქცია“, რომელშიც გაწერილია საგანგებო სიტუაციაში შესასრულებელი მოქმედებების თანმიდევრობა და პასუხისმგებელი პირები. დაწესებულების სამივე სასწავლო კორპუსში სათანადო ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც შემუშავებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ. ***დაწესებულებას აქვს საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა, რომელიც არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ, თუმცა აღნიშნული გეგმა არ იყო შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში აღნიშნული აქტივობის სრულყოფისათვის სავარაუდო დროდ გაწერილი აქვს მიმდინარე წლის ივნისი. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტი და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად.***

4. ***დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.*** დაწესებულებაში შემუშავებულია და დამტკიცებულია დაწესებულების შინაგანაწესი, რომლის გაცნობის ვალდებულება აქვს როგორც დაწესებულების დასაქმებულ ყველა პირს, ასევე ყველა პროფესიულ სტუდენტს. დაწესებულების საკუთრებაში, სამივე სასწავლო კორპუსში, არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან, რომლებიც აკონტროლებელ შენობისა და ადამიანების უსაფრთხოებას 24 საათის განმავლობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტის სამივე სასწავლო კორპუსში (ქ. ახალციხე, ქ.ახალქალაქი) შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. ვიდეოკამერების მოწოდებული გამოსახულების მონიტორინგს ახორციელებს დაცვის სამსახური. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებით დასტურდება, რომ დაწესებულება მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. უნივერსიტეტის სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი ინფორმირებულია წესრიგის დაცვის მექანიზმების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „მესხმშენპროექტის“ ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული უსაფრთხოების (მდგრადობის) დასკვნა (ს/კ 224092274) ქ. ახალციხეში და ქ. ახალქალაში უნივერსიტეტის სამივე კორპუსისათვის
- „სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება“
- წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალის სამუშაო აღწერილობები (2019 წლის 17 ივნისი; დადგენილება N27)
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირებთნ გაფორმებული ხელშეკრულება
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგები.
- ინტერვიურების შედეგი
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *უნივერსიტეტის სამივე სასწავლო კორპუსში (I და II სასწავლო კორპუსი ქ. ახალციხე; III სასწავლო კორპუსი ქ. ახალქალაქი) შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, რადგან აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების სამივე სასწავლო კორპუსში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არი 445 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა (პერსონალური კომპიუტერი, ნოუთბუქი, პლანშეტი). უნივერსიტეტი სარგებლობს ჰოსტინგით, რომლის მონაცემებია: • ჰოსტინგი - Linux • სივრცის მოცულობა - 300 GB (Raid) • ტრაფიკი - შეუზღუდავი • ელ. ფოსტების რაოდენობა - ულიმიტო • ქვედომენი -ულიმიტო • საიტების რაოდენობა (დომენი) – 5 • პარკირებული დომენები - ულიმიტო • MySQL მონაცემთა ბაზა - შეუზღუდავი • ჰოსტინგის ტიპი - Dedicate Server • მართვის პანელი -Directadmin ან ანალოგიური გამოყოფილი IP მისამართი SSL სერთიფიკატი სერვერის მონაცემები:

- ფიზიკური სერვერი IBM 3550 ან ანალოგიური
- ოპერატიული მეხსიერება-RAM 16GB HDD 2X500GB Raid 1
- პროცესორული რესურსი -2XQ uand core XEON ან ანალოგიური
- პროცესორების რაოდენობა - 2 • პროცესორის ბირთვების რაოდენობა-4
- ლოკალური შეერთება 1 გბ/წ, გლობალური შეერთება 50 მბ/წ

დაწესებულების სამივე სასწავლო კორპუსში (I და II სასწავლო კორპუსი ქ. ახალციხე; III სასწავლო კორპუსი ქ. ახალქალაქი) ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით და ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით. ასევე, წარმოდგენილია გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტიც. ვიზიტის დროს ექსპერტებს ქონდათ საშიუალება IT-სპეციალისტებთან გასაუბრების რომლითაც ასევე დასტურდება საინფორმაციო ტექნოლოგებით მათ შორის ინტერნეტთ უზრუნველყოფა.

2. **დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.** კერძოდ: უნივერსიტეტის IT სპეციალისტებთან გასაუბრებით და არსებული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება რომ: დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, ამისათვის დაწესებულებაში შექმნილია კომპიუტერული ქსელი, ხედება მისი მართვა და სისტემატიური განახლება, მისი უსაფრთხოების დაცვა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება; ხორციელდება უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ–გვერდის მუდმივი განახლება, მასალების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და ვებ–გვერდზე განთავსება; უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკისათვის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, სისტემური და პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი; კომპიუტერული ლაბორატორიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; პრეზენტაციებისათვის, სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შესაბამისი აპარატურის მომზადება და გამართული ფუნქციონირება; ელექტრონული მასალების მომზადებაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისათვის და ადმინისტრაციის სხვა საშტატო ერთეულებისთვის დახმარების გაწევა; კომპიუტერული და სხვა ტექნიკის საგარანტიო უზრუნველყოფის ექსპერტიზა და მისი განხორციელების მონიტორინგი; ინტერნეტის მიწოდების უზრუნველყოფა და საჭიროების შეზღუდვა.

3. ***დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, კერძოდ:*** რექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება N56 დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ პრფესიული სტუდენტის/მასწავლებლის შესახებ პირადი ინფორმაციის გაცემა შეზღუდულია. პირადი ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო, ან საავტორიზაციო მიზნებისთვის, რომელიც დასტურდება თანხმობის დოკუმენტზე ხელმოწერით. IT უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს რისკების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში საპრევენციო ღონისძიებების გატარებას. ვთქვათ პროგრამების განახლებას, ანტივირუსების განახლებას, სარეზერვო ასლების შექმნა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ***დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, კერძოდ*** **:** ინფორმაციული ტექნოლოგიების, ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების საჭიროების იდენტიფიცირება ხდება უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში დანერგილი სერვისებისა და სისტემების ოპტიმიზაციის ან/და განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე. ამისათვის დაწესებულება ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვას. რის შემდეგაც ხდება იდენტიფიცირებულისაჭიროების განხილვა-ანალიზი. პროცესში მონაწილეობენ სისტემის მომსახურებაში ან/და გამოყენებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. ინფორმაციულ ელექტრონულ სისტემებში ცვლილებების განხორციელება ან/და ახალი სისტემის დანერგვა სრულდება წინასწარ დაგეგილი აქტივობების შესაბამისად. ახალი სისტემების დაგეგმვისა და დანერგვის პროცესში გათვალისწინებულია სისტემების ტექნიკური და ფუნქციური შესაძლებლობები, რათა არ მოხდეს სასწავლო, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო საქმიანობის გამართული მუშაობის შეფერხება. ინფორმაციულ სისტემებში სიახლეების ან/და ცვლილებების დანერგვამდე ხდება ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასება. აღნიშნული მიმართულებით დაწესებულებას ჰყავს სპეციალური სამსახური (სამი თანამშრომელი), რომელიც ემსახურება სამივე კორპუსს.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. დაწესებულების მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალირებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ინტერვიუირებით. ასევე, ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებულია ხელშეკრულება და წარმოდგენილია მომსახურების საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

6. ***უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. კერძოდ,*** პერსონალისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის შექმნილია უნივერსიტეტის დომეინით ელ-ფოსტის მისამართები. ასევე, ახალი თანამშრომლების შემთხვევაში მყისიერად ხორციელდება მისთვის მონაცემების მიწოდება ელ-ფოსტების შექმნის მიზნით. ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ Facebook Messenger-ში შექმნილია ჯგუფები, რომლითაც ასევე ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება და დასტურდება, რომ კოლეჯი რეალურად იყენებს მას პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებად. აქვე აღსანიშნავია ისიც რომ ზოგადად უნივერსიტეტი სარგებლობს MOODLE -საგანმანათლებლო პლატფორმით, სადაც უკვე ინტეგრირედება (პროცესი იყო მიმდინარე ვიზიტის დროს) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც, ვიზიტის პერიოდში ექსპერტებს ჰონდათ საშუალება გაცნობოდნენ პლატფორმას. სადაც უკვე ინტეგრირედება (პროცესი იყო მიმდინარე ვიზიტის დროს) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც, ვიზიტის პერიოდში ექსპერტებს ჰონდათ საშუალება გაცნობოდნენ პლატფორმას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- რექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება N56 დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- დაწესებულების ვებგვერდზე არსებული MOODLE -ის პლატფორმა;
- დაწესებულების ვებგვერდი და ფეისბუქგვერდი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
- დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;
- ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და/ან სხვა ელექტრონული სისტემა;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების ერთიანი წესები,*** რომელიც დამტკიცებულია N24 დადგენილებით წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. აღნიშნული წესის მიხედვით, საქმისწარმოება აკმაყოფილებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმის წარმოების ინდიკატორის მოთხოვნებს. საქმის წარმოების წესში დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა პროცედურები. დაწესებულება სასწავლო პროცეს ახორციელბს ორ სხვადასხვა ქალაქში, ამათგან ქ. ახალციხეში არის დაწესებულების პირველი და მეორე სასწავლო კორპუსი, ხოლოქ. ახალქალაში, დაწესებულების მესამე სასწავლო კორპუსი. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი წარმოდგენილია პირველ სასწავლო კორპუსში ქ. ახალციხეში, ხოლო ქ, ახალქალაქში არესბულ მესამე სასწავლო კორპუსში ასევე წარმოდგენილია დაწესებულების ადმინისტრაციული ერთეული მათ შორის საქმისწარმოების სპეციალისტი, რომელიც საჭიროებისამებრ ახდენს ადგილზე მომსახერებას სტუდენტებისათვის. ავტორიზაციის ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება დაწესებულების საქმისწარმოების სპეციალისტთან გასაუბრების, სადაც დეტალურად მოხდა პროცედურების განხილვა თუ რა თანმიმდევრობით, დროის რა დიაპაზონით და რა სიხშირით ხდება რეაგირება როგორც შიდა დოკუმენტზე ასევე შემოსულ კორესპოდენციაზე. გასაუბრების შედეგად დასტურდება რომ საქმისწარმოების ელექტროუნული პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეიბს დაწესებულებაში.

2. დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. უნივერსიტეტი ჩართულია და ***მართვაში იყენებს Eflow-ს სისტემას,*** რომლის გამოყენება დასტურდება ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით.
3. ***უნივერსიტეტი ჩართულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ახორციელებს მასში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.*** ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა მისი შევსების სისრულე. ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელო პირთან შეხვედრა, რადგან კოვიდ ინფიცირების გამო იყო იზოლაციაში, თუმცა ექსპერტებს ქონდათ საშუალება ენახათ რეესტრის მონაცემები, შედეგად დადასტურება, რომ დაწესებულება რეალურად ახდენს რეესტრის სწორად წარმოებას.
4. ***დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან,*** რაც დასტურდება მათ მიერ მიღებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებებისა და გაგზავნილი პასუხების საფუძველზე. ძირითადად შემოსულ კორესპოდენციაზე პასუხოსმგებლობა ენიჭება საქმისმწარმოებელს, რომელსაც მოეთხოვება გონივრულ ვადებში შემოსული დოკუმენტაციის ადრესირება. ექსპერტების მიერ გასაუბრება შედგა კომპეტენტურ პირთან, რითიც დასტურდება ყოველივე ზემოაღნიშნული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების საქმისწარმოების წესი;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა);
- ადმინისტრაციის წარმომადგენლეთან გასაუბრების შედეგები;

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.** კერძოდ: დაწესებულების ვებ-გვერდი https://sjuni.edu.ge/ და სოციალური ქსელი (FACEBOOK) იძლევა მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას; ვებგვერდი ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს: ა)საკომუნიკაციო პლატფორმა და ბ) საინფორმაციო ფუნქცია. ვებგვერდზე შესაძლებელია მარტივი ნავიგაცია, ამისთვის ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში, არსებობს სიტყვების ძებნის ფუნქციაც. დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია: დაწესებულების სტრუქტურა; საგანამანთლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ანონსი ახალი პროგრამების შესახებ; დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები; ბიბლითეკის ელე.კატალოგი; ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, საქმიანობა, სტრუქტურა, დებულებები, შიდა ნორმატიული აქტები, ინფორმაცია პროგრამების შესახებ, მათ შორის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სამოქმედო გეგმების ანგარიშები და სხვ. ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (Openbiblio), პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია;
2. დაწესებულებას აქვს უცხოენოვანი ვებგვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.** კერძოდ: უნივერსიტეტში დამტკიცებულია უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. დაწესებულება ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდს - www.sjuni.edu.ge კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტას - contact@ sjuni.edu.ge და ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელებში (facebook (ფეისბუქი) - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი). დაწესებულების გვერდებზე და სოციალურ გვერდზე დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. იგი მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: უნივერსიტეტის შესახებ, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტების მინიჭების შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, დასაქმების შესაძლებლობის, კრედიტების, სწავლის შედეგების და სხვა ყველა აუცილებელი ინფორმაციის შესახებ რაც წინასწარ უნდა იცოდეს აპლიკანტმა და/ან მისმა მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, რაც დადასტურდა დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული კატალოგის დათვალიერებით https://sjuni.edu.ge/wpcontent/uploads/2021/12/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98-2021.pdf
6. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით, დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის მიხედვით საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტებისგან (მათ შორის კურსდამთავრებლებთან გასაუბრებით) და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციით. აღსანიშნავია რომ დაწესებულება იყენებს მიღებულ ინფორმაციას ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის წარმომადგენელის მიერ წარმოადგენილ ანგარიშებში გათვალისწინებული იყო სხვადასხვა აქტივობები რომელიც დაინტერესებული მხარეებისა თუ სტუდენტების მხრიდან იყო რეკომენდირებული / მოთხოვნილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით, დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- პროფესიული პროგრამების კატალოგი;
- https://sjuni.edu.ge/-ვებ-გვერდითა და ფეისბუქგვერდით;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, დაწესებულების წლიური ანგარიშების, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობები.
- ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების -შემოწმების შედეგი;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კერძოდ: უნივერსიტეტი იღებს საბიუჯეტო, როგორ პროგრამულ, ისე ვაუჩერულ დაფინანსებას. ასევე, პერიოდულად ღებულობს საგრანტო დაფინანსებებს. უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო . აღსანიშანავია რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის, შემოსავლებისა და ხარჯების განსაზღვრის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესში ჩართულნი არიან როგორც უნივერსიტეტის საფინანსო მიმართულების თანამშრომლები, ასევე ფაკულტეტები, პროფესორ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები და სტუდენტები (სტუდენტური თვითმმართველობა). საბიუჯეტო პროცესი არის საჯარო და გულისხმობს დამტკიცებული ბიუჯეტის, მისი შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებას, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების საჯაროობას. სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა, დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში ჩადებულია დაფინანსების დინამიკა, რომელიც ასახავს საპროგნოზო ბიუჯეტს, რომელზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულების ფინანსური რესურსით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების უზრუნველყოფის დადასტურების მიზნით გადამოწმებული იქნა უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, და შესაბამისი ბიუჯეტი. გადამოწმებისას დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული აქტივობებისთვის, ცალ-ცალკე დოკუმენტურად გაწერილია ხარჯვითი ნაწილი, რესურსები გაწერილია სრულყოფილად.

2.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

3.**დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.** კერძოდ: დაწესებულება ყოველწლიურად ამზადებს ფინანსურ და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშებს. ასევე, ავტორიზაციის დებულების მოთხოვნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა ყველა ავტორიზებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დადგენილი წესით განათავსოს ყოველწლიური ფინანსური ანგარიში ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე. დაწესებულებას აღნიშნული დოკუმენტი ვიზიტის პერიოდში არ ქონდა პორტალზე განთვასებული, თუმცა გასაუბრების შემდეგ დაწესებულების შესაბამისმა კომპეტენტურმა პირმა აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტი ვიზიტის მიმდინარეობისას უკვე განათვასა აღნიშნულ პორტალზე და ექსპერტებს მიეცა საშუალება შესრულებული აქტივობის შემოწმებს.

4.უნივერსიტეტის მიერ ვებგვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები და სამოქმედო გეგმები. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით ისინი ანალიზს უკეთებენ ყოველწლიურ ანგარიშებს, აფასებენ საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს და მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავენ შემდეგი წლის აქტივობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;
- დაფინანსების დინამიკა;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

- **საბაჟო საქმე**

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში / Higher Vocational Qualification in Customs Study
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	18.05.2020 წ აკადემიური საბჭოს დადგენილება 8
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	14 ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII.პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		სრულ შესაბამისობაში
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრულ შესაბამისობაში
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		სრულ შესაბამისობაში
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		სრულ შესაბამისობაში

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მე-2 სტანდარტი შეფასდა „სრულ შესაბამისად“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:*** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მისიის ყველა განაცხადი მოიცავს პროფესიულ მიმართულებებს. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრატეგიული მიმართულება - პროფესიული განათლების მდგრადობისა და უწყვეტი განათლების ხელშეწყობა, მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ ამოცანებს:
   - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება ახალქალაქში და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
   - უნივერსიტეტის სტრუქტურასა და რეგულაციებში პროფესიული განათლების ასახვა კანონმდებლობის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო, ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო /გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების განხორციელება.

ექსპერტთა მიერ განხილული დოკუმენტაციისა და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმის“ განხორციელებასთან დაკავშირებით ეფუძნება სამცხე-ჯავახეთში შესაბამისი პროფესიის კადრებზე გაზრდილ მოთხოვნილებას. რეგიონში ფუნქციონირებს ოთხი საბაჟო-გამშვები პუნქტი და ორი საბაჟო ტერმინალი. მათთან გაფორმებული მემორანდუმები პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებლად, შესაძლებლობას მისცემს პროფესიულ სტუდენტებს გაიარონ პრაქტიკა გამოცდილი მებაჟეების გვერდით, რეალურ სიტუაციაში.

2.***„საბაჟო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტთან, კერძოდ:*** პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 3². შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე), რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11. 18.05.2020 წ. ოქმი №2. წესი ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N33. 08.05.2018 წ. ოქმი N 8. დამტკიცებულია ***„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:***

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პირების რაოდენობა(მასწავლებლები);
- მატერიალური რესურსი.

უნივერსიტეტში არსებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით განისაზღვრა სტუდენტთა ზღვრული ოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე, რამაც შეადგინა 14 პროფესიულიპროფესიული სტუდენტი.

4. ***ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისათვის გათვალისწინებული რესურსები*** და დადგინდა მათი შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ***ასევე გადამოწმდა საგანმანათლებლო რესურსი.*** დარგის ექსპერტის მიერ რესურსების შესწავლისას აღმოჩნდა რომ საგანმანათლებლო რესურსი იყო მოძველებული, და ძირითადად შედგებოდა უკვე გაუქმებული კანონებისგან. თუმცა პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან (რომლებიც წარმოადგენენ საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებს) გასაუბრებით დადგინდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების დროს იყენებდნენ მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ მათ ცვლილებების პაკეტი წარდგენილი აქვთ დაწესებულებისთვის. შესაბამისად ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა რომ ცვლილებები დაწყებული იყო მოდულებშიც და ვიზიტის მიმდინარეობისას წარმოადგინეს უკვე განახლებული საგანამანთლებლო რესურსები, რომელიც რეკომენდირებული იყოს როგორც დარგის ექსპერტის, ასევე საგანმანალებლო პროგრამების განმახორციელებლების მიერ.

5. პროგრამას „საბაჟო საქმე“ არ აქვს არჩევითი მოდულები.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის 3.1 მუხლის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს ფაკულტეტი და ამტკიცებს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. პროგრამა დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №8. 18.05.2020 წ. აქედან გამომდინარე, ***საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.***

7. ***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „საბაჟო საქმე“ საფუძველზე.*** შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაში როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - საბაჟო საქმე/Customs Study და მათ მიერ შემუშავებული პროფესიული პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და არეგულირებს უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების რეკომენდირებულ მოთხოვნებს. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოიცავს ზოგად მოდულებს (11 კრედიტი) და პროფესიულ მოდულებს (82 კრედიტი). ხანგრძლივობა 67 კვირა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოიცავს ზოგად მოდულებს (41 კრედიტი) და პროფესიულ მოდულებს (82 კრედიტი). ხანგრძლივობა 89 კვირა. ***ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტის მისიით;
- სტრატეგიული გეგმით;
- საბაჟო საქმის პროფესიული პროგრამით(ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №8. 18.05.2020;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია (14 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში).*** აქვე უნდა აღინიშნოს რომ პროგრამის განხორციელება გასულ წელს დაიწყო დაწესებულებამ, თუმცა არაქართულ ენოვანი სტუდნტების გამო ქართული მოდულების შესწავლის თვალსაზრისით, გასულ წელს სასწავლო ჯგუფი არ შედგა და ჩარიცხული 14 პროფეიული სტუდენტიდან, 4 პროფესიულ სტუდენტს მიენიჭა „მომლოდინე“ სტატუსი, ხოლო 10 არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა ქართული ენის მოდულების შესასწავლ ჯგუფში, სტუდენტებმა გაიარეს ქართული ენის მოდული, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარე წელს ქართული მოდულის ვერ დაძლევის გამო მხოლოდ 4 პროფესიული სტუდენტი დარჩა ჯგუფში და საშემოდგომო მიღებაზე მხოლოდ 6 ვაკანტურ ადგილზე გამოცხადდა კონკურსი. მიმდინარე ჯგუფი(2021 წლის საშემოდგომო მიღება) დაკომპლექტდა შემდეგნაირად: ახალი მიღებული 6 პროფესიული სტუდენტი; 4 - მომლოდინე სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი და 4 ქართულ ენოვანი მოდულის წარმატებით კურსდამთავრებული სტუდენტები ჯამში 14 პროფესიული სტუდენტი.

მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს A/B/C სასწავლო გარემო სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის N3 კორპუსში, ახალქალაქში, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი;
- 1 ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- პრინტერი.

სასწავლო გარემოს თემატიკის შესაბამისი აღჭურვილობა განთავსებულია სასწავლო აუდიტორიაში. დაწესებულებას საკუთრებაში აქვს ავტომობილი, რომელიც გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის. კერძოდ „მოდულ სატრანსპორტო საშუალების კონტროლის“ პრაქტიკული შედეგის მიღწევისათვის.

პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად მემორანდუმებია გაფორმებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირთან - შემოსავლების სამსახურთან და ასევე ახალციხეში არსებულ საბაჟო ტერმინალ ბ.ა.-სთან. მემორანდუმების თანახმად ორგანიზაციები გამოთქვამენ მზაობას, რომ უნივერსიტეტის „საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტებმა გაიარონ პრაქტიკული სწავლება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში. პრაქტიკის ობიექტებზე მუშაობენ ის სპეციალისტები, რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში, რაც გარანტიაა იმისა, რომ აღნიშნული პროგრამის პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან იმ სავალდებულო რესურსითა და აღჭურვილობით, რომლებიც გათავლისწინებულია პროფესიული სტანდარტით და რაც უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.„საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 5-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ს, ხოლო ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართული მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 4-ს. ***თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.*** მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, რაც ექსპერტების მიერ გადამოწმდა ადგილზე შერჩევითი პრინციპით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

3. ***პროფესიული პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესში რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის #25 დადგენილებით.***პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათი უმრავლესობა მოქმედი მებაჟეა და ამავდროულად აქვს სწავლების გამოცდილება. მათ წარმოდგენილი აქვთ სერტიფიკატები, რომლებიც ადასტურებენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელთა მიერ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობას.

ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. ***„საბაჟო საქმის“ პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.*** დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება მისი პირადი საქმით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროგრამით და მასთან დადებული პირობითი ხელშეკრულებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტის, სამართალმცოდნეობის სპეციალისტის, აღმოსავლეთმცოდნეობის ისტორიკოსის, პოლიტოლოგის ხარისხი და საბაჟოში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის (მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი) თანახმად განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

5. ***ექსპერტების მიერ განხორციელდა უნივერსიტეტის N3 კორპუსში, რომელიც მდებარეობს ქ. ახალქალაქში, ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი.*** ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით OpenBiblio, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. რამდენადაც „საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია უახლესი საკანონმდებლო დოკუმენტები, დაწესებულებას შეძენილი აქვს საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან წვდომის უფლება. ბიბლიოთეკაში იყო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში, შესაძლებელია ციფრული ვერსიების მატერიალურად ამობეჭდვაც, რამდენადაც მასში განთავსებულია 3 კომბაინი, 3 კომპიუტერი და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის.

6. დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, როგორც სსსმ ან/და შშმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მის მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია. და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრების შედეგად, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა რომ ამ ეტაპისათვის პროგრამაზე სსსმ პირი არ ჩარიცხულა, რაც ცალსახად არსებული სერვისის არ გამოყენებას გულისხმობს. თუმცა, აღნიშნულ წესთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან გაიცა ***განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია დაწესებულებამ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად)***

7.***საგანმანთლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში,*** სადაც გათვალისწინებულია როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციის მომსახურების ანაზღაურება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ბიუჯეტში რეალისტურადაა გაწერილი შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ვებ-გვერდით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის ბიუჯეტით;
- მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესით რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის #25 დედგენილებით.
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შინაგანაწესით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.*ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მოქმედი „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ რაც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებს.* პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილია და აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 10. 18.05.2020 წ. ოქმი № 2 დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას. დოკუმენტის გაცნობის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, ასევე, ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას. როგორც შესაბამის პირებთან გასაუბრებით ირკვევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რომელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეშვეობითაც პერიოდულად ხორციელდება: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვები და ხორციელდება მათი შეფასების ანალიზი. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის. ვიზვიტის დროს, ხარისხის უზურუვლყოფის ხელმძღვანელმა და პროგრამის განმახორციელებლებმა პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, გასაუბრებისას აღნიშნეს მათი ჩართულობა და უკუკავშირი პროგრამის განხორციელბის ხარისხის შესახებ. არსებული მდგომარეობით ძირეული ცვლილებები მიუხედავად დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესისა არ მომხდარა რადგან როგორც შეხვედრაზე აღინიშნა ამ ეტაპამდე მიმდინარეობს მხოლოდ თეორული მოდულების შესწავლა, რომლის თანმიმდევრობა სასწავლო გეგმის შემუშავების პირველივე ეტპზე იყო განაწილებული.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მუხლი N8 ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესს, რომლის თანახმად პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. წესები შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. პროფესიული განათლების შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად; როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, ისინი აქტიურად არიან აღნიშნულ პროცედურებში ჩართულნი. მათივე განმარტებით, პროცესში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები და ვიზიტის დრო ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელმა წარმოადგინა ამ ეტაპზე არსებული შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგები, რომლის თანახმადაც დაწესებულებას აქვს გარკვეული პროგრამული რეკომენდაციები, რომელიც განიხილება შესაბამისი ჯგუფის მიერ და დადასტურების /საჭიროების შემთხვევაში იქნება ცვლილება განხორციელებული პროგრამში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის „საბაჟო საქმე“-შემუშავებულია სასწავლო გეგმა.*** სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა (2 კვირა). პროფესიულ სტუდენტებთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის მიხედვით. ექსპერტების მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მოდულების განხორციელების პროცესები, როგორ მიმდინარეობდა, სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა თუ არა სასწავლო პროცესი და ასევე ქონდათ თუ არა ხელმისაწვდომობა შესაბამის რესურსებთან, დისტანციურად განხორციელების შემთხვევაში ხომ არ ყოფილა ხარვეზები სალექციო პროცესისა თუ რესურსების მიწოდების თვალსაზრისით, როგორც პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებმა, ასევე სტუდენტებისათვის, რაზეც ერთიანად დაადასტურეს რომ ამ ეტაპზე არანაირი ხარვეზი სალექციო პროცესების წარმართვისას მათ არ ქონიათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; ***პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის განმარტებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები პერიოდულად ატარებენ პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას.*** მისივე განმარტებით ასეთი გამოკითხვები იგეგმება „საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პერიოდშიც, რამდენადაც კვლევის ანალიზი საშუალებას იძლევა საჭირო ცვლილებები შევიდეს საგანმანათლებლო პროგრამებში, რათა პროფესიული საგანმანათლბელო პროგრამების კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანი აღმოჩნდნენ დასაქმების ბაზარზე, კვლევა ემსახურება ასევე უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსის და არსებული გარემოს გაუმჯობესებასაც. უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია რეაგირების მექანიზმი, რომელიც მოქნილია და ორიენტირებულია ადეკვატურ ღონისძიებებზე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მიმართულებით უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას იმ სტრუქტურული ერთეულისთვის, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული სტუდენტების კვლევაში დაფიქსირებული პრობლემების მოგვარებაზე. განისაზღვრება კონკრეტული ვადა, ხოლო პრობლემის აღმოფხვრა ანგარიშის სახით ეცნობება ადმინისტრაციას. საჭიროების შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის გზები აისახება სამოქმედო გეგმაში.

აქვე აღსანიშნავია რომ დაწესებულებამ არსებული კოვიდ პანდემიის გამო დისტანციური მიდგომით სასწავლო პროცესის შეუფერხებლად ჩატარების მიზნით უზრუნველყო სტუდენტებისათვის როგორც ინტერნეტ მომსახურების შესყიდვა ასევე ნოუთბუქების დარიგება(დროებით სარგებლობაში გადაცემა), რითაც გაუმარტივდათ სტუდენტებს სასწავლო პროცესში ჩართულობა.

3. ***„საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.*** პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა: რომ დაწესებულების მხრიდან ჩატარდა ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და შეფასების მეთოდებზე პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლებაში და ასევე, აღსანიშნავია რომ პედაგოგები წარმოადგენენ საბაჟო დეპარტამენტის მოქმედ თანამშრომლებს, რაც ნიშნავს იმას, რომ იცნობენ დარგის შესაბამის თანამედროვე ტექნოლოგიებს და მას ასევე წარმატებით იყენებენ სწავლების პროცესში.

4. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; ***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - მუხლი 16. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით - მუხლით N7, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები.*** დოკუმენტაციით მტკიცდება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. დაწესებულებას ამ დრომდე არ ქონია შემთხვევა აღიშნული გეგმის შემუშავები, რაც დასტურდება დაწესბულების წარმომადგენელთან გასაუბრებით.

5. ***აღნიშნული პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებლად დაწესებულებას დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შემოსავლების სამსახურთან. ასევე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია საბაჟო ტერმინალ ბ.ა.-სთან,*** რომელიც უზრუნველყოფს 14 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტის გატარებას აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების თანახმად სტუდენტებს ექნებათ უფლება სრულად ისარგებლონ პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი რესურსების გამოყენებით, რითაც წარმატებით იქნება შესრულებული პრაქტიკული კომპონენტი. აქვე აღსანიშნავია ისიც რომ პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები არიან პრაქტიკის ობიექტის წამომადგენელები რაც კიდე უფრო ადასტურებ პრაქტიკული პროცესის წარმატებით განხორცილების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამას „საბაჟო საქმე“ არ სჭირდება დამატებითი უსაფრთხოების მოთხოვნები. აქედან გამომდინარე *ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში,*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული . კითხვარები და კვლევის შედეგები;
- სასწავლო გეგმით
- კალენდარული გეგმებით;
- კვლევების ანალიზით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელძღვანელტან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.***პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად უნივერსიტეტში შექმნილია „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №9. 18.05.2020 წ. ოქმი № 2. წესის თანახმად პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს.*** რეგულაცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა. ვიზიტის დროს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტმა ავტორიზაციის ექსპერტებს გააცნო მოცემული პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც შემუშავებულია დადგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნების დაცვით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ დაწესებულებას ჯერ გამომდინარე იქედან რომ პროგრამის მიმდინარე მოდულები არაა დასრულებული, ჯერ მისი გამოყენება არ მომხდარა.

2. ***დაწესებულების მიერ შექმნილი „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი,*** რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ პროცესში გამოყენებული იქნება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. გამომდინარე იქედან რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულება ახორციელბდა პროგრამას, ექსპერტები დაინტერესდნენ თუ იყო უკვე პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციის პროცესი განხორციელებული, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმოამდგენლის განმარტებით აღნიშნული აქტივობა მოცემული ეტაპისათვის არ იყო განხორციელებული, რადგან პროგრამაზე სწავლა 2021 წლის შემოდგომაზე დაიწყო და აღნიშნული ვიზიტის პერიოდში მოდულები არ იყო დასრულებული, შესაბამისად შეფასება ვერ განხორციელდებოდა, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა და წარმოადგინა ასევე ვერიფიკაციისთვის შემუშავებული დოკუმენტაცია, რომლის ფარგლებშიც მოხდება მოდულების დასრულების შემდეგ ვერიფიკაცია.

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო ***აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.***

4. სჯსუ-ს მიერ შემუშავებულია „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“ და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ ორი დოკუმენტით ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციებით გაწერილია ყველა პროცესი, რომელიც პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან არის დაკავშირებული. პროფესიული პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად, დგინდება, რომ ისინი იცნობენ ამ პროცედურებს, მათ ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები, რომელიც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეხვედრის დღის წესრიგით და ფოტომასალით.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ შეფასების შედეგები სტუდენტებს ეცნობებათ ინდივიდუალურად, აქვე აღსანიშნავია ისიც რომ დაწესებულება უკვე პროფესიული მიმართულებითაც სარგებლობს MOODLE პლატფორმის საშუალებით, რაც ამ მიდგომას კიდე ერთხელ ადასტურებს. კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

დასტურდება (მტკიცებულებები/ინდიკატორი)

- „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით“,
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 9. 18.05.2020 წ. ოქმი № 2;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- შეფასების ინსტრუმენტების გადამოწმებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

- **საექთნო განათლება**

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილება №8. 18.05.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ახალციხე, რუსთაველის 122
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	28
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობისცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულსტუდენტთა შეფასება		შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მე-2 სტანდარტი შეფასდა „სრულ შესაბამისად“

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:*** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მისიის ყველა განაცხადი მოიცავს პროფესიულ მიმართულებებს. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრატეგიული მიმართულება - პროფესიული განათლების მდგრადობისა და უწყვეტი განათლების ხელშეწყობა, მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ ამოცანებს:

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება ახალქალაქში და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის სტრუქტურასა და რეგულაციებში პროფესიული განათლების ასახვა კანონმდებლობის შესაბამისად;
- პროფესიული საგანმანათლებლო, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო, ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო /გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების განხორციელება.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, რომელიც დამსაქმებლის (კერძო სექტორის) კითხვარს მოიცავს, სადაც გამოიკვეთა აღნიშნული პროფესიის საჭიროება რეგიონში. აღნიშნული დასაბუთების თანახმად, უნივერსიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს ერთ-ერთ ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტრატეგიულ მუნიციპალიტეტს მოუმზადოს სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექთნის პროფესიისთვის საჭირო თეორიული ცოდნა და პრქტიკული უნარ-ჩვევები. ეს გადაწყვეტილება თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომლის თანახმად პროფესიული პროგრამების შემუშავება-განხორციელებით ხელს შეუწყობს საზოგადოების ფართო ფენების ხელმისაწვდომობას განათლებაზე, მათ ჩართვას რეგიონის, შესაბამისად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. უნივერსიტეტის უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობას, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას. უნივერსიტეტს შემუშვებული აქვს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული განვითარების გეგმა რის საფუძველზეც დგინდება, რომ დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია პროფესიული მოდულური პროგრამების პერსპექტივების კვლევა და ახალი პროგრამების დამატება/განხორციელება. ვიზიტის დროს განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერთან , რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის დაგეგმვის პროცესში ჩართული იყვნენ რაიონის მუნიციპალიტეტის და მოქმედი დარგის წარმომადგენლები, ახალციხეში მოქმედი სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლები. ასევე ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ დიდი იყო ინტერესი სწავლის მსურველთა შორის ამ პროგრამასთან დაკავშირებით, იყო მომართვიანობა, რამაც ასევე ხელი შეუწყო ამ პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება №8. 18.05.2020) და შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „საექთნო განათლება / Nursing“, რომლის თანახმად შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 3². შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე), რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11. 18.05.2020 წ. ოქმი №2. წესი ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. უმაღლეს პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

3. **სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“** (დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N33. „08—05—“2018 წ. ოქმი N 8) რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის დადგენას, რათა უნივერსიტეტმა მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომლისთვისაც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეძლებს ხარისხიანი პროფესიული განათლების მიცემას უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით. სტუდენტთა ზღვრული ოდენობა გათვლილია ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად. რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსის ოდენობა, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობა (კერძოდ A,B,C გარემოების ტევადობას სწავლების 2 ცვლად განხორციელებისთვის) და პარტნიორ ორგანიზაციებში თითოეულ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფის შესაძლებლობის მიხედვით.დისტანციური სწავლების სპეციფიკა, პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობები, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა.ბიბლიოთეკის რესურსი; საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა და სხვა ფაქტორები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო განათლება“ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე“ დაყრდნობით უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ კვოტად განსაზღვრა 28 პროფესიული სტუდენტი, თითო მიღებაზე მაქსიმუმ 14 პროფესიული სტუდენტი, რაც შეესაბამება ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით პროფესიულ სტუდენტთა პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის ***განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და დადგინდა მათი შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან,*** რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას სწავლების განხორციელებისათვის აქვ გამოყოფილი A, B და C სასწავლო გარემო. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სტუდენტები აღნიშნული რესურსების შესაბამისობას აფასებენ დადებითად.

5. საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდული.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის 3.1 მუხლის თანახმად, ***პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს ფაკულტეტი და ამტკიცებს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.*** პროგრამა დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №8. 18.05.2020 წ. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა "საექთნო განათლება" დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

7. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება „საექთნო განათლება" გამომდინარეობს ჩარჩო დოკუმენტის დასახელებისგან „საექთნო განათლება". სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ***წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.*** სწავლის შედეგები უშუალოდ არის დაკავშირებული პროფესიასთან.

8. ***სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - საექთნო განათლება / Nursing უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია და მათ მიერ შემუშავებული პროფესიული პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია.*** აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგია ეფუძნება საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და არეგულირებს უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების რეკომენდირებულ მოთხოვნებს. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას, ინფორმაციას დისტანციური სწავლების შესაძლებლობების, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (180 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 210 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა სასწავლო თვე 30 (123 კვირა) პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და 36 სასწავლო თვე (145 კვირა) არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. ***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.*** სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულების წინაპირობებს (მათ შორის ლოგიკურსაც), დაცულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტის მისიით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრატეგიული გეგმით;
- საექთნო განათლება პროფესიული პროგრამით;(ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №8. 18.05.2020;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის გაცნობის, მატერიალური რესურსის დათვალიერების და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ***ითქვას, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - 28 პროფესიული სტუდენტი, ორი მიღებით კერძოდ:*** „საქთნო განათლების“ პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის არსებობაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციით. პროგრამის განხორციელებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტის მეორე კორპუსის მე-3 სართულზე გამოყოფილია ერთი A და B გარემო (N 306) სადაც განთავსებულია პროფესიული სტუდენტის 16 სამუშაო ადგილი, პროგრამის განმახორციელებელი პირის სამუშაო ადგილი, პროექტორი, საპროექციო დაფა, დინამიკები. B გარემოში (N310) განთავსებულია: 15 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, ერთი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის და შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, 2 მულტიფუნქციური პრინტერი, პროექტორი და შესაბამისი საპროექციო დაფა. ამავე აუდიტორიაში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი რესურსი. ექსპერტების შეფასებით წარმოდგენილი აღჭურვილობა სრულად აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს. კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო პუნქტიც. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილის სწავლება, ძირითადად პრაქტიკის ობიექტებზე იგეგმება (პრაქტიკული მოდულები ვიზიტის დროს არ ხორციელდებოდა, მიმდინარე წლის გაზაფხულიდან დაიწყება აღნიშნული მოდულები სასწავლო გეგმის თანახმად), . პრაქტიკული სწავლების მოდულების, ასევე კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელება იგეგმება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში - შპს „ სიცოცხლის ხე“ (ხელშ. 29.10.2021); შპს“აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ. 29.10.2021); სს „ევექსის ჰოსპიტლები “ (ხელშ. 11.06.2020,). რომლებსაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა, ხელშეკრულების თანახმად თანაგანმახორციელებელი კლინიკები ადასტურებენ მოდულის შესაბამისი აქტივობების განხორციელების საშუალებას შესაბამის განყოფილებებში. აღსანიშნავია რომ ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილია ზღვრული ოდენობის პროფესიული სტუდენტათვის პრაქტიკის ობიექტზე მოდულების განხორციელება. დარგის ექსპერტის მიერ შესწავლილი იქნა წარმო

დაწესებულებამ, პროფესიული პროგრამა „ საექთნო საქმე“ დაიმატა 2020 წლის ზაფხულში, იმავე წლის ბოლოს, დაწესებულებამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან N206837 სარეგისტრაციო ნომრით მიიღო კორესპოდენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების პარტნიორ კლინიკებთან დაკავშირებით, რის თანახმადაც პროგრამის განხორციელებას ექმნებოდა საფრთხე კერძოდ კი ქ. ახალციხეში, რეგისტრირებულ, პროგრამის თანაგანმახორციელებელ, კლინიკებს „ სიცოცხლის ხე“ და „ევექსის ჰოსპიტლები“ არ უფიქსირდებოდათ პედეატრიული და ფსიქიატრიული პროფილები. მიმდინარე ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა არსებული პრობლემის არსი და გამოიკვეთა შემდეგი: აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ მიიღო დასტურის წერილი ახალციხის რეფერალური ჰოსპიტალისგან გასული წლის 14 იანვარს, რომლის თანახმადაც ახალციხის რეფერალური ჰოსპიტალის კლინიკას გააჩნია სტაციონალური დაწესებულების ნებართვა, რომლის ფარგლებშიც ექიმი პედეატრები მუშაობენ როგორც ამბოლატორიული, ასევე სტაციონალური მიმართულებით, რაც შეეხება ფსიქიატრიულ პროფილს - სს „ევექსის ჰოსპიტლები ჩართულია ფსიქიკური ჯამრთელობის ამბოლატორიული მკურნალობის კომპონენტში და სამედიცინო დაწესებულება აწარმოებს ფსიქიატრიულ პროგრამას რეგიონის ხუთ მუნიციპალიტეტში (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა), რასაც ემსახურება სამი ექიმი ფსიქიატრი. გარდა ამისა ვიზიტის დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულება 29.10.2021 წლით დათარიღებული, შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯამრთელობის ცენტრთან“, რომელიც მდებარეობს შიდა ქართლში, ხაშურის რაიონი, დაბა სურამის 7 (12). აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებაში განხორციელდება ორი მოდულის „ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“ პრაქტიკული კომპონენტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ პროფესიული პროგრამის „საექთნო საქმე“ მდგრადია და მისი წარმატებით განხორციელება ხელმისაწვდომია როგორც თანაგანმახორციელებელი კლინიკების ერთად პრაქტიკული კომპონენტისათვის, ასევე დაწესებულების სასწავლო გარემოს შესაბამისობით თეორიული კომპონენტის განხორციელების ჭრილში.

დაწესებულებას ასევე მოწყობილი აქვს AC გარემო, სადაც განთავსებულია პრაქტიკული მოდულების(ავადმყოფის მოვლა, შინმოვლა) სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინვენტარი: ფუნქციური საწოლით, მანეკენი, მენჯის მულაჟი (ქალისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კაცის გენიტალიები, შარდსადენი, ნაწლავის სტომის სიმულაციის შესაძლებლობა), შშმ პირის ეტლი, ქირურგიული ინსტრუმენტებით და სხვა შესაბამისი აღჭურვილობა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. უნივერსიტეტს საკუთრებაში არ ჰქონდა მხოლოდ მოდულებში „შინმოვლა“ და „ავადმყოფის მოვლა“, გათვალისწინებული ზედა კიდურის მულაჟი, რომელიც საჭიროა პერიფერიული ვენის კათეტერიზაციისთვის. მოდულის ამ კომპონენტს (მანიპულაცებს) დაწესებულება ახორციელებს პრაქტიკის ობიექტზე (ორივე მოდულის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულება სამედიცინო დაწესეულებებთან), თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელთან და დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრბეით, აღინიშნა რომ დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს აქტივობა, რომლის მიხედვით გეგმავს აღნიშნული მულიაჟის შეძენას და შემდეგ სრულად შეძლებს ამ მოდულების კომპონენტის (მანიპულაციების) ადგილზე განხორციელებასაც საჭიროებისამებრ.

ავტორიზაციის ექსპერტებს ჰონდათ საშუალება გასაუბრების, პრაქტიკის ობიეტების წარმომადგენლებთან სადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის გავლა, აღსანიშნავია რომ, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლები / ინსტრუქტორები ამავდროულად მოდულების განმახორციელებელები არიან და კარგად იცნობენ მოდულების მოთხოვნებს. ყოველივე ზემოხსენებული გვაძლევს საფუძველს რომ პროგრამის პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული კომპნენტის განხორციელებისას (პრაქტიკული მოდულების განხორციელება დაიწყება გაზაფხულიდან) იქნებიან უზრუნველყოფილი, როგორც სავალდებულო რესურსითა და აღჭურვილობით, ასევე შესაბამისი სასწავლო მეთოდებითა და ხელმძღვანელებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 28 პროფესიული სტუდენტისთვის თითო ჯგუფში 14-14 პროფესიული სტუდენტის ოდენობით (სხვადასხვა მიღების დროს).

2.„საექთნო განათლება“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირები, მათი უმეტესობა (12) სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმია, ხოლო 8 მოქმედი ექთანი. თითოეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

3. ***პროფესიული პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია*** სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესში რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის #25 დედგენილებით. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც ექსპერტების მიერ გადამოწმდა ადგილზე შერჩევითი პრინციპით, მათ წარმოდგენილი აქვთ სერტიფიკატები, რომლებიც ადასტურებენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელთა მიერ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობას.

ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. „საქართო განათლება“ პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება მათი პირადი საქმით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროგრამით და მასთან დადებული პირობითი ხელშეკრულებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შერჩეული პირები აკმაყოფილებენ პროგრამის ხელმძღვანელისათვის დაწესებულების მიერ გაწერილ მოთხოვენბს, რომელიც მოცემულია დოკუმენტში: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი) - პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

5. ***ექსპერტების მიერ განხორციელდა უნივერსიტეტის N2 კორპუსში, რომელიც მდებარეობს ქ. ახალციხეში, ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი.*** ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით OpenBiblio, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში, გადრდა ამისა პროგრამის განმახორციელებლ პირებთან გასაუბრებით და პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით ასევე დასტურდება რომ პროგრამაში ჩართული პირები სტუდენტებს აწვდიან პედაგოგის ჰენდაუთებს, რომელიც ასევე დამხმარე მასალაა საგანამანათლებლო პროცესში. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში, შესაძლებელია ციფრული ვერსიების მატერიალურად ამობეჭდვაც, რამდენადაც მასში განთავსებულია 3 კომბაინი, 3 კომპიუტერი და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის.

6.***დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“*** თანახმად, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მის მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია. და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრების შედეგად, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა რომ ამ ეტაპისათვის პროგრამაზე სსსმ პირი არ ჩარიცხულა, რაც ცალსახად არსებული სერვისის არ გამოყენებას გულისხმობს. თუმცა, აღნიშნულ წესთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან გაიცა ***განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია დაწესებულებამ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად)***

7. უნივერსიტეტის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი. **ექსპერტთა შეფასებით, ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ვებ-გვერდით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესით რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის #25 დედგენილებით.
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შინაგანაწესით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.*ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მოქმედი „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ რაც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებს.* პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილია და აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 10. 18.05.2020 წ. ოქმი № 2 დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას. დოკუმენტის გაცნობის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, ასევე, ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას. როგორც შესაბამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებთან გასაუბრებით ირკვევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც პერიოდულად ხორციელდება: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვები და ხორციელდება მათი შეფასების ანალიზი. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის. ვიზვიტის დროს, ხარისხის უზურუვლყოფის ხელმძღვანელმა და პროგრამის განმახორციელებლებმა პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, გასაუბრებისას აღნიშნეს მათი ჩართულობა და უკუკავშირი პროგრამის განხორციელბის ხარისხის შესახებ. არსებული მდგომარეობით ძირეული ცვლილებები მიუხედავად დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესისა არ მომხდარა რადგან როგორც შეხვედრაზე აღინიშნა ამ ეტაპამდე მიმდინარეობს მხოლოდ თეორული მოდულების შესწავლა, რომლის თანმიმდევრობა სასწავლო გეგმის შემუშავების პირველივე ეტპზე იყო განაწილებული.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მუხლი N8 ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესს, რომლის თანახმად პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. წესები შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. პროფესიული განათლების შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად; როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, ისინი აქტიურად არიან აღნიშნულ პროცედურებში ჩართულნი. მათივე განმარტებით, პროცესში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები და ვიზიტის დრო ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელმა წარმოადგინა ამ ეტაპზე არსებული შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგები, რომლის თანახმადაც დაწესებულებას აქვს გარკვეული პროგრამული რეკომენდაციები, რომელიც განიხილება შესაბამისი ჯგუფის მიერ და დადასტურების /საჭიროების შემთხვევაში იქნება ცვლილება განხორციელებული პროგრამში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;
- პროგრამის განმახორციელებელთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.***პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის „საქართნო განათლება“ - შემუშავებულია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად.*** დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა (2 კვირა).პროფესიულ სტუდენტებთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის მიხედვით. პროფესიულ სტუდენტებთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის მიხედვით. ექსპერტების მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მოდულების განხორციელების პროცესები, როგორ მიმდინარეობდა, სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა თუ არა სასწავლო პროცესი და ასევე ქონდათ თუ არა ხელმისაწვდომობა შესაბამის რესურსებთან, დისტანციურად განხორციელების შემთხვევაში ხომ არ ყოფილა ხარვეზები სალექციო პროცესისა თუ რესურსების მიწოდების თვალსაზრისით, როგორც პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებმა, ასევე სტუდენტებისათვის, რაზეც ერთიანად დაადასტურეს რომ ამ ეტაპზე არანაირი ხარვეზი სალექციო პროცესების წარმართვისას მათ არ ქონიათ.

2. ***დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმარტებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები პერიოდულად ატარებენ პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. მისივე განმარტებით და წარმოდგენილი ანგარიშებით დასტურდება რომ ასეთი გამოკითხვების გამოყენება „საექთნი განათლება“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პერიოდშიც ხდება, რამდენადაც კვლევის ანალიზი საშუალებას იძლევა საჭირო ცვლილებები შევიდეს საგანმანათლებლო პროგრამებში, რათა პროფესიული საგანმანათლბელო პროგრამების კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანი აღმოჩნდნენ დასაქმების ბაზარზე, კვლევა ემსახურება ასევე უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსის და არსებული გარემოს გაუმჯობესებასაც. უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია რეაგირების მექანიზმი, რომელიც მოქნილია და ორიენტირებულია ადეკვატურ ღონისძიებებზე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მიმართულებით უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას იმ სტრუქტურული ერთეულისთვის, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული სტუდენტების კვლევაში დაფიქსირებული პრობლემების მოგვარებაზე. განისაზღვრება კონკრეტული ვადა, ხოლო პრობლემის აღმოფხვრა ანგარიშის სახით ეცნობება ადმინისტრაციას. საჭიროების შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის გზები აისახება სამოქმედო გეგმაში.

3. ***„საექთნო განათლება“ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.*** პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა: იქიდან გამომდინარე, რომ განმახორციელებელი პერსონალი წარმოადგენენ სამედიცინო დაწესებულების მოქმედ თანამშრომლებს, ისინი იცნობენ დარგის შესაბამის თანამედროვე ტექნოლოგიებს და მას ასევე იყენებენ სწავლების პროცესში.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - მუხლი 16. ***სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები,*** ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით - მუხლით N7, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაცით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცდება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუსაღდგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

5. ***დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სამ კლინიკურ დაწესებულებასთან: შპს „სიცოცხლის ხე“ (ხელშ. 29.10.2021); შპს“აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ. 29.10.2021); სს „ევექსის ჰოსპიტლები “ (ხელშ. 11.06.2020,)*** რომლებსაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 28 პროფესიული სტუდენტისთვის, სხვადასხვა მიღებაზე, ჯგუფში 14-14 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. ხელშეკრულებები შესაბამისობაშია პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებთან, პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკული კომპონენტი იქნება უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტზე.

6. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, მემორანდუმებში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული . კითხვარები და კვლევის შედეგები;
- სასწავლო გეგმით;
- კვლევების ანალიზით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელძღვანელტან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით/ხელშეკრულებებით;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად უნივერსიტეტში შექმნილია „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №9. 18.05.2020 წ. ოქმი № 2. წესის თანახმად პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს.*** რეგულაცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა. ვიზიტის დროს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტმა ავტორიზაციის ექსპერტებს გააცნო მოცემული პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც შემუშავებულია დადგენილი მოთხოვნების დაცვით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ დაწესებულებას ჯერ გამომდინარე იქედან რომ პროგრამის მიმდინარე მოდულები არაა დასრულებული, ჯერ მისი გამოყენება არ მომხდარა.

2. დაწესებულების მიერ შექმნილი „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული არის შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ პროცესში გამოყენებული იქნა: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

გაწერილი რეგულაციების თანახმად, დაწესებულებაში შეიქმნა ვერიფიკაციაში ჩართული პირები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის: **„საექთნო განათლება“, ვიზიტის დროს დაწესებულებას უკვე ქონდა შესაბამისი აქტივობა განხორციელებული და ანგარიშის სახით წარდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან, რომელიც შესწავლისა და არსებული რეკომენდაციების საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის დასკვნას / ანგარიშს სადაც იქნება აღწერილი შესაბამისი რეკომენდაციები და მიგნებები. აქტივობა სამომავლოდ საფუძვლად დაედება შესაბამის ცვლილებების განხორციელებას საჭიროებისამებრ.**

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და **შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. სჯსუ-ს მიერ შემუშავებულია „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“ და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ ორი დოკუმენტით ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციებით გაწერილია ყველა პროცესი, რომელიც პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან არის დაკავშირებული. პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად, დგინდება, რომ ისინი იცნობენ ამ პროცედურებს, მათ ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები, რომელიც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეხვედრის დღის წესრიგით და ფოტომასალით.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ შეფასების შედეგები სტუდენტებს ეცნობებათ ინდივიდუალურად, აქვე აღსანიშნავია ისიც რომ დაწესებულება უკვე პროფესიული მიმართულებითაც სარგებლობს MOODLE პლატფორმის საშუალებით, რაც ამ მიდგომას კიდე ერთხელ ადასტურებს. კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით“,
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 9. 18.05.2020 წ. ოქმი № 2;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- შეფასების ინსტრუმენტების გადამოწმებით.

შეფასება:

☒ შეესაბამებამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი

1/02/2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: